

შემაშფოთებელი სიგნალი

A3



ლონდონის ტერაქტების ორგანიზატორის ვინაობა ცნობილია

A5



ანტიფეხბურთი

A6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 15 ივლისი, 2005 წელი. №159 (1019)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

„მაგთის" ბაზარზე „ბალი" შემოაქვს



A3

## ამბები

„გვიღირს ასეთი რკინიგზა?"



A4

## რევიუ

საპატიო ლეგიონის პირველი ქართველი კავალერი



B1

## ამინდი

| | 15/07 | 16 /07 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 38 |
| ტყიბული | 34 | 38 |
| სოხუმი | 33 | 33 |
| დმანისი | 30 | 32 |
| გორი | 31 | 34 |
| ონი | 26 | 31 |
| ზუგდიდი | 36 | 38 |
| ახმეტა | 34 | 37 |
| გაგრა | 32 | 31 |
| სამტრედია | 36 | 40 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ამბები | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| კვირის TV პროგრამა | A 8 |
| რევიუ | B 1 |
| ტენდერი | B 2 |
| ტენდერი | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# თბილისის ცენტრში დეპუტატს უმოწყალოდ სცემეს

თამარ კაციტაძე

*გუშინ რესტორან "თეთრ სახლთან" დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასხმა განხორციელდა. გელაშვილის ფირმის "ევრას" დირექტორის, მეგი ლომიძის განცხადებით, შემთხვევის დროს იგი გელაშვილის დაცვის წევრ მალხაზ ცხაკაიასთან ერთად გელაშილის ჯიპში იჯდა. ისინი ერთ-ერთი ბანკიდან გელაშვილის ფირმის მიმართულებით მიდიოდნენ.*

**"დაახლოებით, 2 საათზე რესტორან "თეთრ სახლთან" ვალერი გელაშვილმა მანქანა შუქნიშანზე შეაჩერა. მოულოდნელად სროლის ხმა და ყვირილი – "შეაჩერეთ მანქანა," - გავიგეთ, რასაც მანქანის მინების ჩამსხვრევა მოჰყვა. თავდამსხმელებმა, დაახლოებით რვა კაცი იქნებოდა და ყველა ავტომატებით იყო შეიარაღებული, გელაშვილი და მისი დაცვის წევრი "ჯიპიდან" ერთდროულად გადაათრიეს და იარაღის კონდახით ცემა დაუწყეს. მთავარი აქცენტი აშკარად გელაშვილზე იყო გადატანილი. ცოტა ხანში მანქანიდან მეც გადამიყვანეს, მიბრძანეს, არ მეყვირა და მიწაზე დავწოლილიყავი. რამდენიმე წუთიანი დაუნდობელი ცემის შემდეგ მე და გელაშვილს ხელჩანთები წაგვართვეს და გაიქცნენ," -** ასე იხსენებს თვითმხილველი დეპუტატის ცემის ფაქტს.

გაგრძელება A3 გვერდზე



საავადმყოფოში მიყვანისას ვალერი გელაშვილის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.



დეპუტატზე თავდასხმის გამოძიება "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებისთვის პრინციპული საქმეა.

# მორიგი ინციდენტი ლაგოდეხის საბაჟოზე

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საბაჟო გამშვებ პუნქტზე ვითარება რამდენჯერმე დაიძაბა. თუ დღემდე ფინანსური პოლიცია და სხვა სამართალდამცავი უწყებები ირწმუნებოდნენ, რომ მდგომარეობის გამწვავებაში წვლილი მოსახლეობას მიუძღვოდა, გუშინ მომხდარ ინციდენტში მთავარი დამნაშავე სწორედ ძალოვნი უწყება იყო.*

საბაჟოს ყოფილმა თანამშრომელმა, ნასვამმა, საკუთარი მანქანის გაჩერება საბაჟო პუნქტთან მოისურვა. გაფრთხილების და თხოვნის მიუხედავად, ყოფილმა თანამშრომელმა მებაჟეების ნათქვამი არაფრად ჩააგდო, რასაც ჯერ სიტყვიერი შეხლა-შემოხლა, შემდეგ კი მუშტი-კრივი მოჰყვა. მდგომარეობა უმართავი მას შემდეგ გახადა, როცა სპეცდანიშნულების რაზმმა რამდენჯერმე გაისროლა.

**"მდგომარეობა საგანგაშო არ იყო, მაგრამ შემდეგ სროლები გაისმა, თუ ვისი მხრიდან და რას ისახავდა მიზნად ეს გაფრთხილება, არ ვიცი",** - ამბობს ფინანსური პოლიციის თანამშრომელი შალვა ტალახაძე, რომლიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, სპეცდანიშნულების რაზმის მიერ გასროლილი ტყვიით დაიჭრა. ტალახაძესთან ერთად იმ ღამესვე საავადმყოფოში გადაიყვანეს მისი თანამშრომელი ირაკლი ანდრიაშვილი, რომელმაც მსუბუქი ჭრილობა მიიღო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ICAO-ს შეფასება

## ფარული დაპირისპირება ავიაციაში

ოთარ ქირია

*საქართველოს ავიაციაში დაწყებული ფარული დაპირისპირება ნელ-ნელა სააშკარაოზე გამოდის. ამ ფონზე სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO - "იკაო") ვიზიტი საქართველოში თითქოს პრობლემების მოგვარების ხელშემწყობი უნდა ყოფილიყო, თუმცა პირიქით კი მოხდა. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციასა და "საქაერონავიგაციას" შორის არსებული უთანხმოება ფართო საზოგადოებისთვის ხილული სწორედ "იკაოს" ვიზიტმა გახადა. არის თუ არა "იკაო" ქართული ავიაციით კმაყოფილი, როგორ აფასებს იგი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და დაკარგავს თუ არა საქართველო საჰაერო ტრასებს?*

გაგრძელება A4 გვერდზე



ICAO საქაერონავიგაციაში.

# რეფერენდუმის საკითხი დღეს გადაწყდება

*მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების ინიციატორთა მოლოდინი ერთი დღით გადაიდო. რეფერენდუმთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ცენტრალური საარჩევნო კომისია დღეს მიიღებს.*

ვერიკო თევზაძე

ცესკო-ს წევრთა აზრით, სარეფერენდუმო კითხვის წარმოდგენილი ფორმულირება გარკვეულ გაუგებრობებს წარმოშობდა, ამიტომ მათ ერთგვარი ინტერვიუ ჩამოართვეს საქართველოს "კონსერვატორებისა" და "ტრადიციონალისტების" წარმომადგენლებს - კობა დავითაშვილსა და ირაკლი მელაშვილს. კითხვა-პასუხებმა მშვიდ გარემოში ჩაიარა. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დასმულ ყველა შეკითხვას ამომწურავად უპასუხეს.

დავითაშვილის, ძიძიგურის და მელაშვილის აზრით, ეს იყო ცესკო-ს მიერ ხელოვნურად შექმნილი "გაუგებრობა".

სარეფერენდუმო კითხვის ფორმულირება თავდაპირველად ასეთი იყო: **"თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს ყველა დასახლებული პუნქტის (ქალაქის, დაბის, თემისა და სოფლის, რომელიც არ შედის თემში), მერი/გამგებელი აირჩეს პირდაპირი კენჭისყრით ამ დასახლებული პუნქტების მოსახლეობის მიერ?"**

გაგრძელება A3 გვერდზე

# დღე მეოთხე

## ერთიანი ეროვნული გამოცდების დღიური

გუშინ აბიტურიენტების ორმა ნაკადმა გამოცდა ზოგად უნარებში ჩააბარა.

დღიდან გამოცხადებისა, ზოგადი უნარების ტესტები განსაკუთრებული "ყურადღების" ქვეშ იყო. ის, რაც მშობლებისთვის ცოტა უჩვეულო და ძნელიც იყო, აბიტურიენტებისთვის იოლად იხსნებოდა. გუშინ გამოცდიდან გამოსული აბიტურიენტები აღნიშნავდნენ, რომ არაფერი სირთულე იქ არ იყო, პირიქით, "ეს სახალისოც" იყო. აბიტურიენტებს დაურიგეს საწერკალმები, რომლითაც უნდა ემუშავათ. ამას "უნარების" გასწორების სპეციფიკა მოითხოვს - "გამსწორებელი" კომპიუტერი მხოლოდ ამ კალმით ნაწერს წაიკითხავს.

ზოგადი უნარების ტესტი ორი - ვერბალური და მათემატიკური ნაწილისგან შედგება. ტესტის თითოეულ ნაწილზე აბიტურიენტს სამუშაოდ ეძლევა საათი და ოცდაათი წუთი. გამოცდის დაწყებამდე აბიტურიენტებს წერილობით და ვერბალურადაც მიეწოდათ მითითება, რომ თითოეულ ნაწილზე გათვალისწინებულზე მეტი დროით არ უნდა შეყოვნდნენ, თორემ ნაშრომი არ გასწორდება.

დღის ბოლოს, როდესაც დღის შედეგები შეჯამდა, 14 ცენტრის მასშტაბით, ორი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა აბიტურიენტი გამოცდიდან მოიხსნა ინსტრუქციის შეუსრულებლობის გამო. ამ აბიტურიენტებს შემდეგ გამოცდებზე გასვლის უფლება არ დაუკარგავთ. აგრარულ უნივერსიტეტში იყო შემთხვევა, როდესაც აბიტურიენტი სარეგისტრაციო ბარათში მითითებული 9 საათის ნაცვლად, გამოცდაზე ორ საათზე გამოცხადდა. "ძნელი გადასატანი იყო იმის ყურება, როგორი გაოგნებული იდგა ეს აბიტურიენტი, მაგრამ სხვა გზა არ არის - წესი წესია," - თქვა ერთ-ერთმა დამკვირვებელმა "24 საათთან" საუბარში. იმავე დამკვირვებელმა იქვე აღნიშნა, რომ აბიტურიენტები იდეალურად ორგანიზებულები და მობილიზებულები იყვნენ.

გუშინ, დღის ბოლოს, პრესცენტრში გამართულ ბრიფინგზე აბიტურიენტებს კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ ისინი დროულად უნდა გამოცხადდნენ იმ ცენტრში, რომელიც მითითებულია მათ საგამოცდო ბარათში. კიდევ ერთხელ მიუთითეს, რომ ის ნაშრომი, რომელზეც მითითებული იქნება აბიტურიენტის სახელი, გვარი ან პიროვნების იდენტიფიკაციის სხვა საშუალება (მაგ. მეტსახელი), არ გასწორდება და გაუქმებულად ჩაითვლება; რომ შავი ნაშრომი სწორდება იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი მის გადათეთრებას ვერ მოასწრებს.

გუშინდელ ბრიფინგზე მოწვეულები იყვნენ დამკვირვებლები. "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ხელმძღვანელმა მარკ მალენმა განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია თოთხმეტივე ცენტრში ესწრება ("აკვირდება") გამოცდების მიმდინარეობას. "ეს გამოცდები საქართველოში გამართულ ყველა შეჯიბრზე უფრო სამართლიანია," - აღნიშნა მან.

დღეს კიდევ ორი ნაკადი ჩააბარებს გამოცდას ზოგად უნარებში, და აბიტურიენტები შემდეგი გამოცდისთვის - უცხო ენის ჩასაბარებლად მოემზადებიან.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტების გამსწორებლები მუშაობას განაგრძობენ.

როგორც ცნობილია, გამოცდების შედეგები ცნობილი გახდება არაუგვიანეს 20 აგვისტოსი, ხოლო ტესტების პასუხები საიტზე ივლისის ბოლოს განთავსდება.

*24 საათი*

# სუამის ქვეყნები ბაქოში შეიკრიბებიან

სუამის ქვეყნების კანონმდებლობის უნიფიცირებისა და საბაჟო პროცედურათა გამარტივების საკითხებზე იმსჯელეს ბაქოში სუამის ქვეყნების ვაჭრობისა და ტრანსპორტის ხელშეწყობის პროექტის ხელმძღვანელებმა. როგორც სააგენტო "ტრენდი" იუწყება, სხდომაზე, რომელიც ოთხშაბათს ჩატარდა, ძირითადი აქცენტები გაკეთდა გლობალური ტერორიზმის საშიშროების პირობებში ვაჭრობის უსაფრთხოებისთვის შექმნილი ახალი მექანიზმების მნიშვნელობაზე. **"აზერბაიჯანის მთავრობა საერთაშორისო ვაჭრობის ახალი ნორმების შემუშავებას აწარმოებს, რაც უსაფრთხოების ამაღლებისა და სავაჭრო ოპერაციების გამარტივების საშუალებას იძლევა,"** - უთხრა "ტრენდს" აზერბაიჯანის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარემ კემალედინ ჰეიდაროვმა. პროექტის ჩარჩოებში, ვაჭრობისა და ტრანსპორტის სფეროებში ნავარაუდევია სუამის ქვეყნების კანონმდებლობის უნიფიცირება და საბაჟო პროცედურათა გამარტივება. სხდომის მონაწილეების აზრით, სავაჭრო ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად, პროექტის განხორციელება კონტრაბანდასთან და საერთაშორისო ტერორიზმთან უფრო ეფექტურად ბრძოლის საშუალებას იძლევა. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ არაზ აზიმოვმა რეგიონული სატრანსპორტო დერეფნების სტრატეგიულ მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი. **"სატრანსპორტო დერეფნების სისტემათა განვითარება მხოლოდ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებისკენ არ არის მიმართული, არამედ ამ ქვეყნების გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს,"** – თქვა დიპლომატმა. შეგახსენებთ, რომ რეგიონული ორგანიზაცია სუამი 1997 წელს შეიქმნა.

*პრაიმ-ნიუსი*

## მორიგი ინციდენტი ლაგოდეხის საბაჟოზე

პირველი გვერდიდან

მომხდართან დაკავშირებით საქმის გასარკვევად ლაგოდეხში საფინანსო პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლევან მხეიძე ჩავიდა. **"ფაქტი სახეზეა, რომ ჩვენი ორი თანამშრომელი დაიჭრა. მიზეზებს გამოძიება დაადგენს", -** ამბობს ლევან მხეიძე.

თვითმხილველები, რომლებმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვეს, ამბობენ, რომ ინციდენტის მიზეზი სპეცრაზმი კი არა, ფინანსური პოლიციის თანამშრომლები არიან. მათი ინფორმაციით, საბაჟოზე მდგომარეობა იმიტომ დაიძაბა, რომ საფინანსოს თანამშრომლები ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. თუმცა ეს ინფორმაცია ჩვენთან საუბარში აღნიშნული უწყების ხელმძღვანელმა კახეთში, გოდერძი ხიზანიშვილმა კატეგორიულად უარყო.

რაც შეეხება ექვსკაციან სპეცრაზმს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ სულ ორი დღეა, რაც საბაჟოზე ჩააყენა, მისი ამოცანაა მოსავლის აღების პერიოდში სასაზღვრო ზოლის და საბაჟო პუნქტის მკაცრად გაკონტროლება.

მომხდართან დაკავშირებით მოკვლევას კახეთის სამხარეო პროკურატურა აწარმოებს.

## ფოთში სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში გაწვევა დასრულდა

ქეთინო ჩაკობია

ქვეყნის პრეზიდენტის, თავდაცვის მინისტრისა და ეროვნული გვარდიის სარდლის ბრძანებით, ფოთში საზღვაო-ქვეითი ბატალიონი ჩამოყალიბდება. გაწევრიანების მსურველებს ქალაქის ცენტრში განთავსებული სააგიტაციო კარავი ემსახურებოდა. მან მუშაობა დაგეგმილზე 4 დღით გვიან, 13 ივლისს დაასრულა. გვარდიის ვიცე-პოლკოვნიკი კლიმენტი დამენია აღნიშნულს ახალგაზრდების დიდი ნაკადით ხსნის. დამენია რაოდენობას არ აკონკრეტებს, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ბატალიონში სამსახურის სურვილი 150-მდე მოქალაქემ გამოთქვა. დამენიასავე განცხადებით, გაწევრიანებისთვის საჭირო მხოლოდ ნება და ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა იყო.

"კონტრაქტი ოთხწლიანია. გაიწვევიან 20-დან 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, მათ შორის - რეზერვისტები და ის წვევამდელები, ვინც სავალდებულო სამსახურის გავლას არ ექვემდებარებიან. კონტრაქტი სამხედრო მოსამსახურის 350 ლარის და მეტი ოდენობის ყოველთვიურ ანაზღაურებასაც ითვალისწინებს," - ამბობს კლიმენტი დამენია.

ბოლო ნაკადი 13 ივლისვე, ფოთიდან თბილისში გაემგზავრა. ისინი ამერიკელ ინსტრუქტორებთან სამთვიანი სწავლების კურსს გაივლიან. საზღვაო-ქვეითი ბატალიონის დისლოკაციის ადგილი ფოთში იქნება.

## „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ახალი პროექტი - პატიმარი ადამიანია

*არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" რუსთავის N6 ციხეში, იუსტიციის სამინისტროს, ევროკომისიისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის დონორობით, ახალ პროექტს ახორციელებს. პროექტს - ციხე-პატიმარი-საზოგადოება – გუშინ რუსთავის N6 საპყრობილეში მრგვალი მაგიდა მიეძღვნა. მრგვალ მაგიდაში მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის, გაერო-ს განვითარების პროგრამის, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ეკა ტყეშელაშვილმა.*

როგორც ცნობილია, ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოში ხორციელდება მასშტაბური პროექტი, რომელიც გულისხმობს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმაში ევროკავშირის თანადგომას. პროექტი ხორციელდება „ტასისის" მხარდაჭერით. 2005 წლის თებერვლიდან კი ევროკავშირმა გადაწყვიტა, ევროკავშირის სწრაფი რეაგირების მექანიზმის ფარგლებში, გააფართოოს თავისი მხარდაჭერა პენიტენციური რეფორმისადმი და დააფინანსოს რუსთავის მე-6 ციხის რეაბილიტაცია. დონორი ორგანიზაციების მიზანია, რუსთავის N6 ციხე გახდეს საჩვენებელი ციხე თავისი ინფრასტრუქტურით, რეჟიმით და ციხის მენეჯმენტით, რომელიც მინიმალურად მაინც იქნება მიახლოებული საერთაშორისო სტანდარტებთან. ახალ ციხეში უნდა შეიქმნას ყველანაირი პირობა, რათა დაცულ იქნეს პატიმართა უფლებები. სწორედ ამიტომ, დონორმა ორგანიზაციებმა საჭიროდ მიიჩნიეს, იზრუნონ უშუალოდ პატიმრების და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე. ამ მიზნით 2005 წლის ივლისიდან საქართველოში, ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ხორციელდება პროექტი „საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პატიმართა უფლებებსა და პენიტენციურ სისტემაზე." პროექტს ახორციელებს ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი". პროექტი მოკლევადიანია და მიზნად ისახავს მთელ რიგ საგანმანათლებლო სახის ღონისძიებებს, რომელთა საშუალებითაც მნიშვნელოვნად ამაღლდება საზოგადოების, ასევე - უშუალოდ პატიმრებისა და ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ცოდნის დონე პატიმართა უფლება-მოვალეობებისა და ზოგადად პენიტენციური სისტემის შესახებ. პროექტის ფარგლებში გამოიცემა ლიფლეტი „ერთად დავიცვათ პატიმართა უფლებები" და საინფორმაციო გაზეთი, რომელიც მოიცავს პატიმართა და ციხის ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობათა დეტალურ განხილვას. გაზეთი შეიძლება გამოდგეს ერთგვარ პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ, რომელშიც რეკომენდაციების სახით მითითებული იქნება, როგორ უნდა მოხდეს ქაღალდზე დაწერილის პრაქტიკაში დანერგვა, რა მექანიზმები და საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული პატიმართა უფლებები. გამოიცემა სტატიები და ინტერვიუები პატიმრებთან აქტუალურ და პრობლემურ თემებზე. გაიმართება ორი მრგვალი მაგიდა, მათ შორის ერთი - რუსთავში, რომლებზეც მოწვეული იქნება ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. მოსახლეობასთან პრობლემებზე და აქტუალურ თემებზე ისაუბრებენ ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები.

მოსახლეობის ფართო ინფორმირებულობის თვალსაზრისით, 7 აგვისტომდე სხვადასხვა არხზე ეთერში გავა სამი სატელევიზიო და ორი რადიოგადაცემა, მომზადდება სოციალური სარეკლამო რგოლი პატიმართა უფლებებზე.

**"ახალი ციხის გახსნა საკმაოდ მნიშვნელოვანი და საჭირო მოვლენაა. თუ რა პირობებში უწევთ პატიმრებს ყოფნა, ყველასათვის ცნობილია და ამიტომ არ ვაპირებთ ამ თემის გავრცობას. ამ შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს სავსებით კონკრეტული მიზანი - შევქმნათ გარემო, რომელიც დაცული იქნება კანონით, კონსტიტუციითა და საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული უფლებებით. საზოგადოებამ და სახელმწიფომ მიზნად უნდა დაისახონ, რომ ციხე რეალურად გახდეს დამნაშავის გამოსწორების ადგილი.",** – აცხადებს პროექტის დირექტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენელი ლადო მკერვალიშვილი.

## სემეკ-ი კომუნალური გამრიცხველიანების პირობების შეცვლას გეგმავს

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ-ი), მომხმარებელთა საჩივრების გათვალისწინებით, კომუნალური გამრიცხველიანების პირობების შეცვლას გეგმავს. დღეს სემეკ-ის მორიგი სხდომა გაიმართება, სადაც "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" კომისიას "საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე აბონენტების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის შესახებ" სემეკ-ის დადგენილების შესრულების მიმდინარეობას გააცნობს. ცვლილებები იგეგმება დადგენილების რამდენიმე პუნქტში. საბოლოო გადაწყვეტილებას კომისია იუსტიციის სამინისტროში დადგენილების პროექტის ექსპერტიზის შემდეგ მიიღებს. საერთო მოხმარების მრიცხველები (კომუნალური მრიცხველები) ტრანსფორმატორებზე მონტაჟდება. თითოეული მომხმარებელი ვალდებულია, ელექტროენერგიის საფასური კომუნალური მრიცხველის ჩვენების მიხედვით გადაიხადოს. კომუნალური მრიცხველის ჩვენება ტრანსფორმატორზე მიერთებული მომხმარებლის რაოდენობაზე იყოფა. ხშირ შემთხვევაში, რეგიონში მცხოვრებ თითოეულ ოჯახს ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით თანხის გადახდა უწევს, რაც მათი მხრიდან პროტესტს იწვევს. **ინტერპრესნიუსი**

## კონსერვატორების შეტევის თემა ამჯერად ანაბრებია

*"კონსერვატორები" გორის საზოგადოების წინაშე ხელისუფლების კრიტიკით წარდგნენ. პარტიის ლიდერი კობა დავითაშვილი ხელისუფლებას კვლავ წინასაარჩევნოდ მიცემულ დაპირებებს ახსენებს. "კონსერვატორები", ანაბრების დაბრუნების მოთხოვნით, ხელმოწერებს აგროვებენ.*

თეა თედლიაშვილი
გორიდან

კობა დავითაშვილმა 13 ივლისს გორის საზოგადოებას მოკლედ აუხსნა, რატომ არის ოპოზიციაში და რატომ განუდგა ხელისუფლებას. **"ჩვენ წინასაარჩევნოდ დავპირდით ხალხს მიწის გადასახადისგან გათავისუფლებას, პენსიების გაორმაგებას და სტაჟის მიხედვით დიფერენცირებას, გაყინული პენსიების დაბრუნებას და მცირე ბიზნესის გადასახადებისგან ორი წლით გათავისუფლებას. აქედან მთავრობამ შეასრულა მხოლოდ ერთი - გააუქმა მიწის გადასახადი. საბედნიეროდ, ხელისუფლებამ 19 აპრილს აღიარა საპენსიო ვალი და ახლა, გაყინული პენსიების დაბრუნება სრულად მოხდება,"** - განაცხადა დავითაშვილმა.

კონსერვატორებს მიაჩნიათ, რომ დღევანდელი 28-ლარიანი პენსია, 14-ლარიანი პენსიისგან არაფრით განსხვავდება, რადგან საბაზრო ფასები ერთი-სამად გაიზარდა. თუმცა, პარლამენტარებმა საკუთარ პენსიაზე იფიქრეს და ის 750 ლარით განსაზღვრეს.

დავითაშვილი ხელისუფლებას "არსენას" ადარებს, რომელიც მდიდარს კი ართმევს, მაგრამ ღარიბებს არაფერს აძლევს. **"ჩვენი ხელისუფლება ყველას ყველაფერს ართმევს, ყოველგვარი წესისა და კანონის დაცვის გარეშე, მაგრამ ჯერ არც ერთ რიგით ადამიანს ბიუჯეტის ზრდა საკუთარ თავზე არ უგრძვნია, რა აზრი აქვს ბიუჯეტის გასამმაგებას ასეთ შემთხვევაში?"** - კითხვას სვამს დავითაშვილი.

"კონსერვატორების" ლიდერმა მერის პირდაპირი წესით არჩევაზე უარის თქმასა და მოგების გადასახადის ცენტრში გადაქაჩვაზეც ისაუბრა. შეკრებილი ხალხის ყველაზე დიდი მღელვარება "გაყინული" ანაბრების საკითხმა გამიწვია.

**"მე ვთხოვე ხელისუფლებას, საგამოძიებო ჯგუფი შეგვექმნა და გაგვერკვია, ვინ "შეჭამა" ანაბრები, მაგრამ ამაზე ცივი უარი მივიღეთ. მეეჭვება, ეროვნული ბანკის მაშინდელ დირექტორს დვალიშვილს თავი მოეკლა, მას ჰქონდა სწორედ იმათი სია, ვინც კრედიტები აიღეს და დოლარებში გადაცვალეს. ეს ხელისუფლება არც გამოძიებას აპირებს და არც ფულის დაბრუნებას. პენსიონერთა მოძრაობასავით უნდა დაიწყოს მეანაბრეთა მოძრაობა,"** – განაცხადა კობა დავითაშვილმა.

მან საზოგადოებას შეახსენა, რომ ჰქონდა შეთავაზება, თავდაცვის მინისტრის, ან კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტზე დაენიშნათ.

**"მეც მექნებოდა შესანიშნავი ანაზღაურება, მეყოლებოდა "ჯიპი" და ვიცხოვრებდი კარგად, მაგრამ ყველაფერ ამაზე უარი ვთქვი იმიტომ, რომ არ შემეძლო გიგა ბოკერიასავით ტყუილი მელაპარაკა. იმას ჩემი მტერი დაემსგავსოს,"** - დასძინა კობა დავითაშვილმა.

"კონსერვატორებს" დამონტაჟებული კომუნალური ელექტრომრიცხველებიც არ მოსწონთ და მალე ამ საკითხსაც წინა პლანზე წამოწევენ.

## საზაფხულო საჩუქრები ჯეოსელისგან

მარიამ ჩაჟვაძე

*ეხლა არც ახალი წელია და არც შობის წინა დღეები, მაგრამ კომპანია "ჯეოსელი" უკლებლივ ყველა აბონენტს საჩუქარს უკეთებს, თანაც ერთს და ორს კი არა, ერთდროულად რამდენიმეს. წლის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სეზონზე სიურპრიზები საკუთარი აბონენტებისთვის - ეს ამ კომპანიისთვის ერთგვარ სავიზიტო ბარათადაც კი იქცა.*

"ჯეო-მხსნელი", "ჯეო-ზუმერი", "ჯეო-კადრი", "მეგობრული ნომრები" და კიდევ საზაფხულო აქცია - ეს ის ახალი სერვისებია, რომლის პრეზენტაცია გუშინ "ჯეოსელის" მთავარ ოფისში მოეწყო. მანამ სანამ უშუალოდ ამ სიახლეების შესახებ დეტალურად მოგითხრობდეთ, ორიოდე სიტყვით თავად პრეზენტაციის შესახებ მოგიყვებით. უამრავი სტუმარი, ნაცნობი სახეები და მედიის თითქმის ყველა წარმომადგენელი, თითოეული მათგანი მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როცა ჯეოსელის გენერალური მენეჯერი ოსმან თურანი მათ იმ სიურპრიზებისა და სიახლეების შესახებ მოუთხრობდა, რომლის ანონსი წინა დღეებში გავრცელდა. თითქმის ყველა, ვინც მოსასვლელი იყო, მოვიდა, მაგრამ პრეზენტაციის დაწყება რატომღაც ჭიანურდებოდა. როგორც მერე გაირკვა, ერთ-ერთი საპატიო სტუმარი კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი აგვიანებდა. მისი მოსვლისთანავე პრეზენტაციაც დაიწყო. **"მობილური ტელეფონი დღეს უკვე აღარ არის მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, არამედ მას აქვს სერვისი. ჩვენ მიერ შემოთავაზებული თითოეული ეს და სხვა მრავალი სერვისი, მინდა დაგარწმუნოთ, რომ ყველა ჩვენგანის ცხოვრებას ალამაზებს და მნიშვნელოვნად ამარტივებს"** - განაცხადა ოსმან თურანმა.



*ოსმან თურანი და დიმიტრი ქიტოშვილი "ჯეოსელის" ახალი სერვისების პრეზენტაციაზე.*

გუშინდელი თავშეყრის მიზეზი, როგორც უკვე გითხარით, "ჯეოსელის" მიერ შემოთავაზებული ახალი სერვისები იყო. სერვისები, ალბათ, პირობითად თუ შეიძლება ვუწოდოთ, ის უფრო საჩუქარს ჰგავს და თანაც ისეთს, რომელსაც დიდხანს ელოდი და რომელიც ჩუქებისთანავე გულს გაგიხარებს.

აბა თავად წარმოიდგინე, რომ ხარ ისეთ სიტუაციაში, როცა ვინმეს დახმარება ან რაიმე სახის რჩევა სასწრაფოდ გჭირდება. ურეკავ შენთვის საჭირო ადამიანს და უცბად აღმოაჩენ, რომ შენი მობილური ცალმხრივად არის გათიშული. აი აქ კი უცბად მაშველად "ჯეო-მხსნელი" გევლინება. ამ დროს შენ შეგიძლია უპრობლემოდ გაუგზავნო მოკლე ტექსტური შეტყობინება ამ ადამიანს, თანაც სრულიად უფასოდ. და ეს ყველაფერი როდია, მანამ, სანამ შენი მობილური აპარატი ცალმხრივად იქნება გამორთული, შენ დღეში ხუთჯერ ამ სერვისით სარგებლობის უფლება გეძლევა.

თუ თქვენ ფოტოების გადაღება გიყვართ და ამაში მობილური ტელეფონის აპარატიც ხელს გიწყობთ, მაშინ გეტყვით, რომ დღეიდან ამ ფოტოების დაბეჭდვაზე თქვენ მაგივრად უკვე ჯეოსელი იზრუნებს. ჯეო-კადრი ასე ქვია იმ ახალ სერვისს, რომელიც საშუალებას გაძლევთ, თქვენ მიერ გადაღებული კადრი გაგზავნოთ სპეციალურ ნომრებზე (4455, 4422, 4444 ან 4411) და მიიღოთ "კონიკას" ოფისებში დაბეჭდილი ფოტო.

მოგწყინდათ მობილური ტელეფონის სტანდარტული ზუმერი? მაშინ "ჯეოსელის" კიდევ ერთმა ახალმა სერვისმა "ჯეოზუმერმა" თქვენ სულზე მოგისწროთ. სხვათა შორის ეს სერვისი განსაკუთრებული პოპულარობით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში სარგებლობს და ის დსთ-ს სივრცეში პირველად "ჯეოსელმა" დანერგა. "ჯეოზუმერი" ცვლის სტანდარტულ ტონალურ სიგნალს (ზუმერს, რომელიც ისმის მობილურ ტელეფონში სხვა აბონენტთან დაკავშირების დროს) ნებისმიერი მუსიკალური ან ხმოვანი ფრაგმენტით.

და ეს ყველაფერი როდია, ყველაზე მთავარი და გამაოგნებელი სიურპრიზის - "მეგობრული ნომრების" შესახებ ახლა მოგითხრობთ. თუ თქვენ ბევრი მეგობარი გყავთ, ამოარჩიეთ მათ შორის ის სამი, რომელსაც ყველაზე ხშირად ურეკავთ. დღეიდან მათთან დარეკვა და საუბარი თქვენ უკვე შეუზღუდავად შეგიძლიათ, რადგან ჯეოსელი თქვენ 30 პროცენტიან ფასდაკლებას გთავაზობთ, ანუ ამ შემთხვევაში წუთის ღირებულება 28-ის ნაცვლად მხოლოდ 20 თეთრს შეადგენს.

გუშინდელი პრეზენტაციის შემდეგ "ჯეოსელის" ახალ სერვისებს "საინტერესო" უწოდა კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ დიმიტრი ქიტოშვილმა. ის ჩვენთან საუბრის დროს გამოტყდა, რომ მას ყველაზე მეტად "ჯეოკადრი" და "მეგობრული ნომრების" სერვისი მოეწონა. თქვა ისიცი, რომ ის ამ მომსახურებით ყველაზე ხშირად ისარგებლებს. **"მსგავსი აქციების დანერგვისაკენ სხვა კომპანიებსაც მოვუწოდებ. კომუნიკაციების ბაზარზე ყოველგვარ სიახლეს მივესალმები".**

P.S. სხვათაშორის გუშინ პრეზენტაციაზე რამდენიმე სტუმარს გული დაწყდა, რომ ის "ჯეოსელის" აბონენტი არ იყო. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ვიცი, გულდაწყვეტილების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ეს "ჯეოსელმაც" გაითვალისწინა და ამ ქსლეში ჩართვის მსურველთათვის საზაფხულო აქცია წამოიწყო. ანუ: დღეიდან "ჯეოსელში" ჩართვა ყველას სულ რაღაც 5 ლარად შეეძლება. აი რა შედის 5 ლარიან სასტარტო პაკეტში: 5 ლარის სასაუბრო დრო, 5 უფასო ჯავა თამაში, 15 უფასო წუთი (ჯეოსელზე და ლაი-ლაიზე), 25 უფასო MMS და 125 უფასო SMS.

იჩქარეთ, რადგან საზაფხულო აქცია ძალაშია 12 აგვისტომდე.




### მოკლედ

#### სამხედრო აკადემიას ახალი რექტორი ჰყავს

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნულ სამხედრო აკადემიას ახალი რექტორი ჰყავს. პოლკოვნიკი კობა ლაჭყებიანი რექტორის მოვალეობის შესრულებას გუშინ დილიდან ოფიციალურად შეუდგა. აკადემიის პირად შემადგენლობას ის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ ალეკო კიკნაძემ წარუდგინა.

როგორც ახალმა რექტორმა აკადემიის თანამშრომლებს განუცხადა, იგი სამსახურიდან არავის გაშვებას არ აპირებს და მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ვისი მიყვანილია სამსახურში.

კობა ლაჭყებიანი შეხვდა აკადემიის თურქული სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელებს, თუმცა მათი საუბრის დეტალები და სამომავლო გეგმები ჯერჯერობით უცნობია.

კობა ლაჭყებიანი ბოლოს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაური იყო. მანამდე კი იგი ვაზიანში დისლოცირებული მე-11 მექანიზებულ მოტომსროლელ ბრიგადას მეთაურობდა. მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში. **ინტერპრესნიუსი**

#### ავტოავარიას ფინანსური პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის წევრი ემსხვერპლა

მსხვერპლით დასრულდა გუშინ დილით გორში მომხდარი ავტოავარია. თბილისის ქუჩაზე დიდი სისწრაფით მოძრავი ჯიპი "ლენდროვერი" ჯერ სამგზავრო მიკროავტობუსს შეეჯახა, შემდეგ კი იქვე მდებარე საცხოვრებელ სახლს.

როგორც გაირკვა ჯიპი ფინანსური პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმს ეკუთვნის და ავტომანქანაშიც ამ უწყების თანამშრომლები იმყოფებოდნენ.

ავარიის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა ფინანსური პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის მე-4 სამმართველოს უფროსის გულეჯან ღუბიანურის მამიდაშვილი ალეკო კაკაშვილი. რამდენიმე დაშავებული გორის საქალაქო საავადმყოფოში გადაიყვანეს. მიკროავტობუსის მგზავრებს სერიოზული დაზიანება არ მიუღიათ.

ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, საჭეს თავად გულეჯან ღუბიანური მართავდა, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება და გორის საავადმყოფოშია მოთავსებული. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ისინი, სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. **ინტერპრესნიუსი**

### ორი სიტყვით

**ბათუმი.** ბათუმში დისლოცირებული რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზა შეთანხმებას არღვევს. გუშინ, დილიდან, გონიოს პოლიგონზე სროლების ხმა კვლავ ისმოდა. ქართული მხარის მოთხოვნით, საკურორტო სეზონის დასრულებამდე, რუსმა სამხედროებმა გონიოს პოლიგონზე მძიმე ტექნიკა და პირადი შემადგენლობა არ უნდა გამოიყვანონ. გეგმიური წვრთნები მათ სოფელ სიმონეთში უნდა განეხორციელებინათ. თუმცა, რუსული მხარე მოთხოვნას ჯერჯერობით არ ასრულებს. რუსმა სამხედროებმა სროლები მხოლოდ ქართული მხარის ჩარევის შემდეგ შეწყვიტეს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის ფრიდონ თოდუას საჩუქარი მიიღო, ხოლო სამომავლოდ საქართველოს ხელისუფლების ჰუმანიტარულ დახმარებაზე - სასწრაფო დახმარების მანქანებსა და სარეისო ავტობუსებზე უარი თქვა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სამხრეთ ოსეთის" თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში მოქმედი საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ "როსსი"-მ მოსკოვიდან რუს თანამემამულეთა საერთაშორისო საბჭოში გაწევრიანებას წინადადება მიიღო. "ამ საბჭოში გაწევრიანება რუსეთსა და საზღვარგარეთის მსგავს ორგანიზაციებთან ურთიერთობის გაღრმავებაში დაგვეხმარება. ამჟამად ჩვენს შესახებ იციან მხოლოდ მოსკოვში, ხოლო თუკი საბჭოში გავწევრიანდებით, თანამოაზრეებს საფრანგეთში, აშშ-ში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებშიც გამოვნახავთ", - აცხადებს "როსსი"-ს ხელმძღვანელი ვალენტინა ტასოევა. საზოგადოებრივი ორგანიზაცია "როსსი" თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში სლავური წარმოშობის მოქალაქეებს აერთიანებს. ორგანიზაციის მიზანია სლავების გაერთიანება, სლავური კულტურის პოპულარიზაცია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საერთაშორისო ურთიერთობებში მიღწეული წარმატებისათვის, საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს შვეიცარიაში საერთაშორისო სიგელი გადაეცემა. [illegible] ცარიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტმა დავით ბაქრაძე კონკურსის წესით აარჩია და მას ყოველწლიურ პრიზს გადასცემს. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიამ საქართველოში მუშაობა დაასრულა

*„საქართველო ახალ, რევოლუციურ სისხლის სამართლის სივრცეში შედის", - ამბობს იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია, რომელიც ჯერ კიდევ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ყოფნისას თვის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რეფორმის კონცეფციის შესამუშავებლად შექმნილ საგანგებო კომისიას, სადაც ქართველ იურისტებთან ერთად ევროკავშირის ექსპერტებიც მუშაობდნენ.*

საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის რევოლუციური ცვლილებები კი იმას ნიშნავს, რომ ქართული სამართალწარმოება აქამდე არსებული ევროპული, კონტინენტალური სისტემიდან ანგლოსაქსურზე გადავიდა. მართალია, თავად კოტე კემულარია აღნიშნავს, რომ ევროპული დოკუმენტები უფრო კონტინენტალურია, მაგრამ იქვე დასძენს, რომ იგი მხოლოდ სამართალწარმოების ნოვატორულადაა შეიძლება მიუახლოვდეს.

**„კონტინენტალური სამართალწარმოება დღეს ძალიან პოპულარულია, მაგრამ მსოფლიო სამართალწარმოება უკვე ისე გადაეჯაჭვა ერთმანეთს, რომ ხშირად ერთ მთლიან სახელს ვიღებთ. ჩვენმა დოკუმენტმა ძალიან ბევრი ისეთი ინსტიტუტი შეითვისა, რომელიც კონტინენტალურისთვისაც და ევროპულისთვისაც არის დამახასიათებელი და საბოლოოდ მას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ქართული მოდელი. ეს არის სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარებით შექმნილი სისხლის სამართლის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს, პროკურატურის, პოლიციის, საადვოკატო დაწესებულებების, აღსრულების დეპარტამენტის, იურიდიული განათლების სისტემის რეფორმას",** - აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის კონცეფციის მუშაობის დასრულებასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე.

ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიამ EUJUST-THEMIS, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის კონცეფციის შემუშავებაში ეხმარებოდა, მუშაობა დაასრულა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს უმაღლესი შეფასება მისცა.

როგორც მისიის ხელმძღვანელმა სილვი პანტმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ექსპერტებს საქართველოში ერთი წელი უნდა ემუშავათ, თუმცა სამუშაოს დასრულება რამდენიმე თვეში მოხერხდა. **"სხვა ქვეყნებში ამ სამუშაოს შესრულებას წლები დასჭირდებოდა. ჩვენ მუშაობით და მისი შედეგით კმაყოფილნი ვართ",** - აღნიშნა სილვი პანტმა.

სისხლის სამართლის რეფორმის კონცეფცია საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს დასამტკიცებლად უკვე წარედგინა. იუსტიციის მინისტრი დარწმუნებულია, რომ ქართველი იურისტების და ევროპელი ექსპერტების მიერ ერთობლივად შემუშავებული დოკუმენტი სრულყოფილია, რადგან 26-მა ექსპერტმა იგი რამდენჯერმე გადაამოწმა და ევროკავშირმაც შეისწავლა.

რეფორმის კონცეფციის შესამუშავებლად საგანგებო კომისია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 14 ოქტომბრის ბრძანებულებით შეიქმნა, რომელსაც მუშაობაში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია ეხმარებოდა. კომისიას იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა, ხოლო მის შემადგენლობაში იყვნენ: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, შს მინისტრი, გენერალური პროკურორი, სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე, ფინანსთა მინისტრი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, პროკურორები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**"ეს სერიოზული პროექტია ევროკავშირისთვისაც. ამგვარი პროექტი პირველად განხორციელდა საქართველოში და მომავალში მისი განხორციელება იგეგმება პოსტსაბჭოთა სივრცის შემავალ სხვა ქვეყნებშიც. ჩვენ უკვე გვაქვს საკმაოდ სერიოზული გეგმა. სექტემბრიდან გამზადდება ბიუჯეტი და მის დასაწყისად ევროკავშირიდან მივიღებთ სერიოზულ დახმარებას. აღნიშნული დოკუმენტი მალიან შეეფერება ევროკავშირის სამოქმედო პოლიტიკას. ეს სერიოზული გამარჯვებაა ქართულ იურისპრუდენციაში და ამის შედეგს ძალიან მალე ყოველი მოქალაქე დაინახავს,"** - [illegible]რდება იუსტიციის მინისტრი.

*24 საათი*

# „მაგთის" ბაზარზე „ბალი" შემოაქვს

"მაგთი GSM"-ის სათავო ოფისში გუშინ გამართულ შეხვედრაზე ყველა "ბალის" გარშემო ტრიალებდა. "ბალი" "მაგთიკომის" ახალი მომსახურებაა, რომლის შესახებაც საზოგადოებისთვის 17 ივლისს, კუს ტბაზე გამართულ "ბალი-ფართიზე" გახდება ცნობილი. იქამდე კი, კომპანია ახალი კლიპის პრეზენტაციით შემოიფარგლა, რომელიც "ბალის" მომსახურებას ეხება და კომპანია "არტპრომის" მიერაა გადაღებული. როგორც "მაგთის" ახალი პროგრამების დირექტორმა ზურაბ ბესელიამ აღნიშნა, კომპანია ახალი მომსახურების სახით, მის აბონენტებს საუკეთესო პირობებსა და საუკეთესო ფასებს სთავაზობს. **"ბალით" მომსახურება საზოგადოების ყველა ფენისთვის იქნება ხელმისაწვდომი,"** – აღნიშნა მან.

**"არავითარი დამრგვალება, საუბრის აღრიცხვა ერთწამიანი სიზუსტით; პირველად საქართველოში აირჩიეთ "საყვარელი ნომერი" და ილაპარაკეთ უფრო მეტი; შეღავათიანი ტარიფი ქსელის შიდა ზარებზე; MMS-ები ყველაზე იაფად, SMS-ები ნახევარ ფასში; გარანტირებული შემომავალი ზარი ბალი-ბარათის გააქტიურებიდან 30 დღის განმავლობაში; არავითარი სააბონენტო.**

**"ბალი" იყენებს მაგთიკომის ქსელს და, ამდენად, კავშირის მაღალი ხარისხი და საუკეთესო დაფარვა გარანტირებულია. "ბალის" ინდექსია: 8-98. არსებობს გადახდის ორი, განსხვავებული ბარათი – ბალი-ბარათი და თეთრი ბალი-ბარათი. ბალი-ბარათის გააქტიურებისას ანგარიშზე ჯდება წუთები და ერთეულები, ხოლო თეთრი ბალი-ბარათით კი - თანხა. ორივე ბარათის ღირებულება 3 ლარი იქნება."**

ეს გახლავთ კომპანიის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაცია. დანარჩენი - ორშაბათს, 17 ივლისს, კუს ტბაზე.

*24 საათი*



*"მაგთიკომი" ახალ სერვისს საიდუმლოდ ინახავს და მის პრეზენტაციას კვირას მოაწყობს.*

# შემაშფოთებელი სიგნალი

## აშშ-დან დაბრუნებული პარლამენტის თავმჯდომარე ქვეყანაში შექმნილი ვითარებისა და ვიზიტის შესახებ საუბრობს

*მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტში დეპუტატები ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდნენ და საპარლამენტო დარბაზს ისევ წესების გარეშე ბრძოლის რინგს ამსგავსებდნენ; როცა საქართველოში პოლიტიკური ვნებათაღელვა ამინდის პირდაპირპროპორციულად ცხარდებოდა, საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი მეტად მნიშვნელოვანი ვიზიტით აშშ-ში იმყოფებოდა. თუმცა, თბილისურმა ვნებებმა ქართული დელეგაციის ამერიკული მიღწევები ჩრდილში მოაქციეს და ვიზიტმაც ქართული მედიის განსაკუთრებული ყურადღება ვერ დაიმსახურა. სამაგიეროდ, მას საკმაოდ სერიოზული გამოხმაურება მოჰყვა თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში. "გამოჩენილ ქართველ ქალთა კვალდაკვალ" - ასეთი იყო "ვაშინგტონ პოსტის" სათაური, რომელიც "დიპლომატიური წერილების" რუბრიკით გამოქვეყნდა. "ბურჯანაძე თავისი ქვეყნის ისტორიაში შევა, როგორ 2003 წლის ბოლოს საქართველოში მომხდარი ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი შემოქმედი. იგი ტრიუმვირატის ერთ-ერთი წევრი იყო, რომელმაც ედუარდ შევარდნაძის რეჟიმი დაამხო," - წერს გაზეთი. "რევოლუციის მონაწილეთა და ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა უმეტესობა ჩემი ყოფილი სტუდენტია," - სიამაყით აღნიშნავს ქალბატონი ნინო, აშშ-ს სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისთან და აშშ-ს მაღალი თანამდებობის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის წინ. თუმცა, იქვე სპიკერი აღიარებს, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა დემოკრატიზაციის პროცესი შეუქცევადი გახდეს. ჩვენ დაგვხვდა პრობლემების ბუკეტი, გაუსტუმრებელი პენსიები, რომელთა ოდენობა თვეში 7 დოლარს არ აღემატებოდა, და ზოგიერთი ადამიანი, რომელსაც სწამს, რომ საბჭოთა იმპერიის დანგრევა ტრაგედია იყო, - დასძენს იგი," - იუწყება "ვაშინგტონ პოსტი".*

*გუშინ საქართველოში ჩამოსულ პარლამენტის სპიკერს "24 საათი" სწორედ ამ ვიზიტზე და, ვიზიტის პარალელურად, საქართველოში "აჭრილ" პოლიტიკურ პროცესებზე ესაუბრა:*

თამარ ხორბალაძე

- ორი მნიშვნელოვანი თემა გახლავთ ხაზგასასმელი - ერთია ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა, რომლის სესია ვაშინგტონში ჩატარდა. გარდა ამისა, მე მქონდა დაგეგმილი ვიზიტი აშშ-ში. ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე რუსეთის დელეგაციასთან მომხდარმა დაპირისპირებამ საქართველოში გადაფარა ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია აფხაზეთთან დაკავშირებით. ამ ინციდენტზე უკვე ბევრი რამ ითქვა, ამიტომ მასზე აღარ დავკონკრეტდები, თუმცა ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გითხრათ, რომ აბსოლუტურად ჩვენს მხარეს იყო ეუთო და ყველა დელეგაცია. რუსული დელეგაციის მხრიდან აშკარად ადგილი ჰქონდა პროვოკაციას, რომლის მიზანიც ქართული დელეგაციის წონასწორობიდან გამოყვანა და აფხაზეთის რეზოლუციის მიღებისთვის ხელის შეშლა გახლდათ. წონასწორობიდან ვერ გამოგვიყვანეს, თუმცა საკადრისი პასუხი მიიღეს და, ამასთან, ეუთო-ს ასამბლეამ ქართული მხარის მიერ მომზადებული, აფხაზეთის რეზოლუცია ყოველგვარი შენიშვნების გარეშე დაამტკიცა.

რაც შეეხება აშშ-ში ვიზიტს, იგი ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. შედგა შეხვედრა აბსოლუტურად ყველა მაღალ ოფიციალურ პირთან, ვინც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას განსაზღვრავს და რეალურად იღებს გადაწყვეტილებებს. მქონდა შეხვედრა კონდოლიზა რაისთან, შევხვდი თეთრი სახლის ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელს, შევხვდი ჩემს კოლეგას, რაც ასევე იშვიათად ხდება ხოლმე. ასევე, შეხვედრა მქონდა თავდაცვის სამინისტროში ბატონ რამსფელდთან და მის მოადგილესთან და ასე შემდეგ - მე აღარ მინდა, ჩამონათვალი გავაგრძელო, რათა ვინმე არ გამომრჩეს. ასევე საინტერესო საუბრები გაიმართა ადამიანებთან, ვინც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ საზოგადოებრივ აზრს აშშ-ში. ესენი არიან: ბატონო ბჟეზინსკი, ქალბატონი მადლენ ოლბრაიტი, კოლინ პაუელი... ჩვენმა მეგობრებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა, არიან თუ არა ისინი თანამდებობებზე - ჩვენ გვახსოვს ის ხალხი, რომლებმაც გაჭირვების პერიოდში საქართველოს ხელი გაუწოდეს.

**- რამდენად ამართლებს მოლოდინს საქართველო?**

- ამერიკის შეერთებული შტატები მართლაც ოპტიმიზმით უყურებს საქართველოს და დიდი იმედი აქვს, რომ ჩვენ არც ჩვენს მოსახლეობას და არც ჩვენს მეგობრებს მოლოდინს არ გავუცრუებთ. ისინი მზად არიან, დაგვეხმარონ, რომ ეს იმედები არ გავაცრუოთ. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის რეფორმები, რაც კორუფციასთან მიმართებაში დაიწყო; მნიშვნელოვანია ბიუროკრატიის შემცირება, თუმცა, ისინი მუდმივად უსვამენ ხაზს, და ამას მეც პირველ რიგში ალვნიშნავდი, რომ ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია დემოკრატიული სტრუქტურების გაძლიერება და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გაღრმავება. ის, რომ ახალი დემოკრატიის ქვეყნებში ყველაფერი იდეალურად ვერ გაკეთდება, მათ ძალიან კარგად იციან. ისიც კი თქვეს, რომ ისინი დღემდე აუმჯობესებენ სისტემას, თუმცა მე ვუთხარი, რომ ჩვენ არ ვაპირებთ, 200 წელი ვიმუშაოთ სისტემის გაუმჯობესებაზე. ჩვენ იმიტომ გვინდა მათი გამოცდილების გაზიარება, მათი დახმარება და კრიტიკაც, რათა დემოკრატიისკენ სავალი გზა უფრო სწრაფად გავიაროთ. ჩვენ ვუთხარით მათ ისიც, რომ ყველაფერს გავაკეთებთ ნატო-ში გასაწევრიანებლად. თუმცა, ამერიკის დახმარება იმაშიც გვჭირდება, რომ ისეთი მიზეზები, როგორიც კონფლიქტებია, არ უნდა გახდეს წინაღობა - წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსული ძალები არასოდეს ითამაშებენ პოზიტიურ როლს ამ კონფლიქტებში. ჩვენ ავუხსენით მათ ისიც, რომ ამერიკული დიპლომატიის გააქტიურება აუცილებელია კონფლიქტების დარეგულირების საკითხში, რათა გარკვეულ შედეგებს მივაღწიოთ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება ავუხსნათ ჩვენს მოსახლეობას, თუ რატომ ვართ დიალოგის მომხრე, რატომ არ გვაქვს მკვეთრი რეაქცია და რატომ ვართ უმოქმედონი. ჩვენ საკმაოდ მაღალ დონეზე მივიღეთ იმის რწმუნება, რომ ამერიკის დიპლომატია ამ მიმართულებით გააქტიურდება.

ნიუ-იორკში შევხვდი გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილეს ბატონ გიენოს, გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ელჩებს და ვუთხარი, რომ არა ვართ აღფრთოვანებული კონფლიქტების დარეგულირებაში მეგობართა ჯგუფის მუშაობით და მიგვაჩნია, რომ მათი მხრიდან ამ მიმართულებით მეტი აქტიურობაა საჭირო.

**- თქვენი ამერიკული ვიზიტის პერიოდში პარლამენტში შეხლა-შემოხლის მომსწრენიც გავხდით. რამდენად სერიოზულია, თქვენი აზრით, ხელისუფლების წვლილი სიტუაციის დაძაბვაში. ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ძალიან ხისტია თავის ქმედებებში და საჭიროა ოპოზიციასთან აქტიური დიალოგი?**

- პირველ რიგში, მე ვერ მივიღებ ზოგიერთი ოპოზიციონერი კოლეგის კრიტიკას - რომ მე მაშინ არა ვარ ქვეყანაში, როცა რთული საკითხები განიხილება. ეუთო და საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წარმომადგენლები თავიანთ მუშაობას ჩემს გრაფიკს ვერ აუწყობენ. მიმაჩნია, რომ ეუთო-ში და ვაშინგტონში ჩემი ყოფნით გაცილებით მეტი გავაკეთე, ვიდრე თბილისში გავაკეთებდი. საქართველო არ არის იმ დონის ქვეყანა, რომ აქეთ ველოდოთ, ჩვენი პრობლემების გასაგებად როდის მოგვაკითხავენ. თუმცა, ჩემი არყოფნა ქვეყანაში არ ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობას თავს ვარიდებ, ან საქმის კურსში არ ვარ. კომენტარები გავაკეთე თბილისის კანონთან, მიწის კანონთან დაკავშირებით... რაც შეეხება ოპოზიციასთან დიალოგს - მე და ჩემი სხვა კოლეგებიც ამ დიალოგისთვის ყოველთვის მზად ვართ. როგორც ვიცი, პრეზიდენტმაც გამოთქვა მსგავსი მზადყოფნა და ოპოზიციას საპარლამენტო დარბაზში დაბრუნებისკენ მოუწოდა.

პარლამენტში სიტუაციის დაძაბვა ძალიან ცუდი იყო. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს - ეს არც უმრავლესობას ეპატიება და არც ოპოზიციას. მე მესმის, რომ ზოგჯერ შეურაცხყოფაზე საკმაოდ მძაფრი რეაქცია აქვთ, განსაკუთრებით მამაკაცებს, თუმცა არსებობს საკუთარი ღირსების დაცვის უფრო ცივილიზებული გზა, ვიდრე პარლამენტში მუშტი-კრივია. რაც შეეხება სიტუაციის დაძაბვას, არ დაგიმალავთ, მე შევხვდი ორ ოპოზიციონერ ლიდერს და ვუთხარი, რომ მათ შეცდომა დაუშვეს, როცა გვერდით დაუდგნენ ეგრეთ წოდებულ მოჭიდავეთა აქციას. არ შეიძლება, რომელიმე ცივილიზებულმა სახელმწიფომ სასამართლოს დარბევა დაუშვას. ჩვენ ისედაც უკმაყოფილონი ვართ, რომ სასამართლო არ გვყავს იმდენად ძლიერი და დამოუკიდებელი, რამდენადაც საჭიროა. რა მნიშვნელობა აქვს, ვისი ზეწოლით მიიღებს არასწორ გადაწყვეტილებას მოსამართლე - ხელისუფლების თუ დარბევის შიშით. არ მოგეწონათ გადაწყვეტილება, იბრძოლეთ ცივილიზებული მეთოდებით. შეცდომა ხელისუფლებამ დაუშვა მაშინ, როცა სასამართლოშივე არ აიყვანა ისინი, ვინც სასამართლოს არბევდნენ.



*"ის, რომ დღისით-მზისით, თუნდაც წმინდად კრიმინალური ფაქტი ხდება შუა თბილისში, ძალიან შემაშფოთებელი სიგნალია".*

**- საქართველოში ცივილიზებული მეთოდებით სამართლის მიღწევის გარანტია არსებობს?**

- ამ გარანტიის შექმნასაც გარკვეული მუშაობა სჭირდება. მე ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ყველა გადაწყვეტილებით კმაყოფილი ვარ. კითხვები, როგორც თქვენ, მეც მაქვს. მაგრამ ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, ვინც სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება და დაარბევს მას, იმას დავუდგეთ გვერდით, არამედ - ისეთი კანონები და გარანტიები შევქმნათ, რომელიც სასამართლოზე ზეწოლას გამორიცხავს. ჩემს მთავარ ფუნქციას სასამართლოს, პარლამენტის გაძლიერებაში ვხედავ. უნდა შეიქმნას ინსტიტუტები, ქვეყანა კარგ და ცუდ ლიდერზე დამოკიდებული რომ აღარ იყოს.

**- ახალი კანონი თბილისის შესახებ რამდენად ემსახურება ინსტიტუტების შექმნისა და გაძლიერების, სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფის მიზნებს?**

- ჯერ ერთი, მე მგონი, პოზიტიურია გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ეს კანონი მესამე მოსმენით არ მივიღეთ და გადავაგზავნით ევროპულ სტრუქტურებში ექსპერტიზისათვის. მე ნამდვილად მინდა, ბოლომდე ვიყო დარწმუნებული, რომ არაფერი შეგვეშალა. თავისთავად, საკრებულოდან მერის არჩევაში ვერაფერ ცუდს ვერ ვხედავ. ევროპაში, მათ შორის, დასავლეთ ევროპის ძველი დემოკრატიის ქვეყნებში, მერს საკრებულოდან ირჩევენ და ეს ნამდვილად არ არის უკან გადადგმული ნაბიჯი.

**- საკრებულოს არჩევის წესი?**

- ვნახოთ, რას გვეტყვიან ევროპის ექსპერტები. ჩვენ ღია ვართ დიალოგისთვის.

**- არ შემიძლია არ გკითხოთ ვალერი გელაშვილთან დაკავშირებულ ინციდენტზე. იმ განცხადებებიდან გამომდინარე, რაც ამ ფაქტს უძღოდა წინ, მას აუცილებლად მიეცემა პოლიტიკური დატვირთვა. რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ დღეს წარმოქმნილი კითხვები მოიხსნას?**

- მე ძალიან შეშფოთებული ვარ. პრაქტიკულად, თქვენი შემოსვლის წინ გავიგე ამის შესახებ. მაშინვე დავუკავშირდი შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ვანო მერაბიშვილს, რომელიც ასევე ძალიან შეშფოთებულია და, როგორც მითხრა, ყველა სტრუქტურას შესაბამისი დავალება მისცა. ხელისუფლების პრესტიჟია, რომ გაირკვეს ყველაფერი. იმედი მაქვს, რომ ბატონი ვალერი გამოჯანმრთელდება, მაგრამ ის, რომ უნდა დაისაჯონ ადამიანები, ვინც ეს გააკეთა, ეჭვგარეშეა. ამას გარდა, მე ესეც ვუთხარი ბატონ ვანო მერაბიშვილს: ის, რომ დღისით, მზისით, თუნდაც წმინდად კრიმინალური ფაქტი ხდება შუა თბილისში, ძალიან შემაშფოთებელი სიგნალია.

# თბილისის ცენტრში დეპუტატს უმოწყალოდ სცემეს

პირველი გვერდიდან

მეგი ლომიძის თქმით, თავდამსხმელების მთავარი მიზანი ვალერი გელაშვილის ცემა იყო, რასაც ისინი სიტყვიერადაც ამბობდნენ, ჩანთები კი მათი მთავარი მიზნის შესანიღბად წაიღეს. თუმცა, ფირმის დირექტორის განცხადებით, ხელჩანთებში მნიშვნელოვანი დოკუმენტები ელაგა, მათ შორის - დეპუტატის პირადობის დამადასტურებელი საბუთებიც.

თავდამსხმელების გაქცევის შემდეგ დაზარალებულებმა პატრული და სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს. ვალერი გელაშვილი თავდაპირველად ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მას თავის არეში სერიოზული დაზიანებები აღმოაჩნდა, რის გამოც აუცილებელი გახდა მისი ე.წ. მიხაილოვის საავადმყოფოში გადაყვანა. ექიმ-რეანიმატოლოგ ქეთევან ქვარცხავას განცხადებით, ვალერი გელაშვილს დაზიანებული აქვს ქვედა და ზედა ყბები, ამასთან იგი საჭიროებს ნეიროქირურგიულ ჩარევას - დეპუტატს ოპერაცია ესაჭიროება. ექიმების განცხადებით, პაციენტის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, რადგან გელაშვილს ადრე ჰემატომა ჰქონდა და შეიძლება, იგი ახალი რთული ფორმებით განვითარდეს. დეპუტატის ნათესავების გადაწყვეტილებით, მას საზღვარგარეთ უმკურნალებენ.

დეპუტატის მეგობრის, შპს "ევრას" მთავარი მენეჯერის, გიორგი მაკასარაშვილის თქმით, ვალერი გელაშვილის ახლობლებს ქართველი ექიმების პროფესიონალიზმში ეჭვი არ ეპარებათ, თუმცა ხელისუფლებას არ ენდობიან და ეჭვობენ, რომ, თბილისში დატოვების შემთხვევაში გელაშვილის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. თავად გელაშვილიც კატეგორიულად მოითხოვდა მკურნალობის კურსის ჩატარებას საქართველოს ფარგლებს გარეთ. საუბარი იყო დაზარალებულის ლიტვაში გადაყვანაზე. მაკასარაშვილის განცხადებით, არ არის გამორიცხული, რომ ვალერი გელაშვილზე თავდასხმა ამჯერად უკვე საავადმყოფოში განხორციელდეს. დეპუტატის საზღვარგარეთ გამგზავრების პრობლემას ქმნიდა ის, რომ მას თავდასხმის დროს პასპორტი და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტებიც მოსტაცეს. თუმცა, ეს პრობლემა კოლეგა პარლამენტარებმა ოპერატიულად მოაგვარეს.

სახეზე მცირედი დაზიანება აღენიშნება გელაშვილის დაცვის წევრს მალხაზ ცხაკაიასაც, მაგრამ მას სამედიცინო ჩარევა არ დასჭირდა და იგი ამჟამად უკვე სახლში იმყოფება.

მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსია გავრცელდა. გელაშვილის ახლობლები თავიდანვე გამორიცხავდნენ ყაჩაღობის მოტივს, რასაც სამართალდამცველები ეთანხმებიან. გელაშვილის ახლობელთა თქმით, თავდასხმა პოლიტიკური შეკვეთა იყო, რაც ბოლო პერიოდში გელაშვილის მხრიდან პრეზიდენტის მიმართ გაკეთებული განცხადებებს მოჰყვა.

**"ბოლო პერიოდში დეპუტატმა ვალერი გელაშვილმა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მედიის საშუალებით არაერთხელ გააკრიტიკა. იგი ხელისუფლებას "არასერიოზულს" უწოდებს. საქმე ეხება ავლაბრის რეზიდენციის მიმდინარე მშენებლობას, რომელსაც სხვა კომპანიებთან ერთად ვალერი გელაშვილის მიერ დაფუძნებული სამშენებლო ფირმა ახორციელებდა. გელაშვილმა პრეზიდენტს ის საცხოვრებელი სახლი დაუთმო, რომელიც მისი საკუთრებაა და რეზიდენციის გვერდით მდებარეობს.**

**როგორც გელაშვილი აცხადებდა, იგი სააკაშვილს სახლს მისი სურვილისამებრ უშენებდა. ახლა კი პარლამენტარი პრეზიდენტს იმ თანხასაც სთხოვს, რაც მისმა კომპანიამ რეზიდენციის მშენებლობისთვის დახარჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გელაშვილი აპირებს, სახლი, აუქციონის წესით, 5 მილიონ დოლარად გაყიდოს,"** -ამბობენ გელაშვილის "რესპუბლიკელი" თანაპარტიელები. სხვათა შორის, სახლის გაყიდვის თაობაზე რეკლამა ინტერნეტის საშუალებით ერთი კვირის წინ გავრცელდა.

ოპოზიციონერები იმასაც ამტკიცებენ, რომ გელაშვილზე თავდასხმა დიდ ხნის წინ პროფესიონალების მიერ დაიგეგმა. მათი მტკიცებით, თავდასხმის წინა დღეს გელაშვილს მოულოდნელად ბრონირებული ავტომანქანა გაუფუჭდა, რის გამოც, იგი ჩვეულებრივი "მერსედესის" მარკის ჯიპით მოძრაობდა. გელაშვილის ახლობლები თავდასხმასა და მანქანის გაფუჭებას შორის საეჭვო კავშირს ხედავენ.

**"ვალერი გელაშვილის დაჯავშნული ავტომანქანის გაფუჭება საფუძვლიან ეჭვებს ბადებს. ბოლო დღეების განმავლობაში დაზარალებულს უცხო პირები ურეკავდნენ და, პრეზიდენტის ოჯახის მისამართით გაკეთებული განცხადებების გამო, ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ. აღნიშნული ადამიანები დეპუტატისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ,"** - ასეთია ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერის დავით გამყრელიძის კომენტარი.

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი კი აცხადებს, რომ ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამოიძიოს პარტიის წევრზე, დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასმის ფაქტი. მისი განცხადებით, თუ ხელისუფლება არ დაიჭერს დამნაშავეებს, გასაგები გახდება, გელაშვილზე თავდასხმა ვინ მოაწყო. **"ამიტომ, ვურჩევ მათ, ჭკვიანურად მოიქცნენ ამ სიტუაციაში,"** - აღნიშნავს ბერძენიშვილი.

მომხდარს არასამთავრობო ორგანიზაციებიც გამოეხმაურნენ. "თავისუფლების ინსტიტუტი" გმობს ვალერი გელაშვილსა და მის თანმხლებ პირებზე განხორციელებულ სასტიკ თავდასხმას და სამართალდამცველებისგან ამ ფაქტის სასწრაფო და მიუკერძოებელ გამოძიებას მოითხოვს. "თავისუფლების ინსტიტუტისათვის ნაკლებმნიშვნელოვანია ის, თუ რა პოლიტიკურ პოზიციას ან ღირებულებებს იზიარებს ნებისმიერი ადამიანი, მაშინ, როდესაც საფრთხე ემუქრება უმთავრეს უფლებას - სიცოცხლეს ან სიტყვის თავისუფლებას. შესაბამისად, არავის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ მსგავსი თავხედური თავდასხმა და ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა პოლიტიკური, ფინანსური თუ პირადი ანგარიშსწორების მიზნით, დაუსჯელი დარჩება.

თუ ხელისუფლებას არ შესწევს იმის უნარი, რომ სათანადოდ უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვა, მან ის მაინც უნდა მოახერხოს, რომ მსგავსი ფაქტები სათანადოდ იქნას გამოძიებული.

თავისუფლების ინსტიტუტი მოითხოვს, რომ სამართალდამცავმა სტრუქტურებმა სასწრაფოდ და მიუკერძოებლად გამოიძიონ დღევანდელი თავდასხმის ფაქტი;

უმოკლეს ვადებში წარუდგინონ საზოგადოებას გამოძიების სარწმუნო შედეგები – სათანადოდ არგუმენტირებული, მტკიცებულებებით გამყარებული და თავდასხმის ორგანიზატორები დაისაჯონ კანონის მთელი სიმკაცრით," – ასეთია მომხდართან დაკავშირებით "თავისუფლების ინსტიტუტის" პოზიცია.

ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტთან დაკავშირებით ოპოზიციის მიერ გაკეთებულ განცხადებებს და მმართველი პარტიის მიმართ გამოთქმულ ეჭვებს მოგვიანებით თავად ნაციონალებიც გამოეხმაურნენ. სპეციალურად აღნიშნული თემისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, - "დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასხმის მონაწილენი სასტიკად უნდა დაისაჯონ".

**"თუ დადასტურდა, რომ დამნაშავეებს რაიმე კავშირი აქვთ "ნაციონალურ მოძრაობასთან" ან ხელისუფლებასთან, ვინც უნდა იყვნენ ისინი, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ,"** - ამბობს ბოკერია და იქვე გელაშვილის მიერ პრეზიდენტის მისამართით გაკეთებულ განცხადებებსაც იხსენებს:

**"თუ ვინმეს ნერვებმა უმტყუნა მისი გამონათქვამების გამო, და წავიდა ამ ვანდალიზმზე, არანაირი პატიება მათი მისამართით არ იქნება. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ არანაირი ფაქტი არ არსებობს იმისთვის, რომ ხელი დაადონ ხელისუფლების წარმომადგენლებს. ამგვარი განცხადებები ოპოზიციის მხრიდან არაკორექტულია,"** - თქვა ბოკერიამ.

ოპოზიციის მიმართ კიდევ უფრო რადიკალურია გიორგი არველაძე. მან გუშინდელ ფაქტთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს უსინდისო უწოდა და ისიც დასძინა, რომ ვალერი გელაშვილს, როგორც პილიტიკოსს, არ იცნობს. **"გელაშვილი საქმოსანია,"** - განაცხადა არველაძემ.

ერთი სიტყვით, ოპოზიცია-პოზიციას შორის ახალი დავის საგანი გაჩნდა, მაგრამ ვინ უნდა აგოს პასუხი იმაზე, რაც დღისით-მზისით, შუაგულ ქალაქში მოხდა, ეს ჯერჯერობით უცნობია. ბოკერია თვლის, რომ ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება არსებითად გამოსწორებულია და ასეთი შემთხვევები განსაკუთრებულ აჟიოტაჟს არ საჭიროებს, მით უმეტეს, რომ ქართველი სამართლდამცველები ხელისუფლების სიმპათიით და მხარდაჭერით სარგებლობენ.

# რეფერენდუმის საკითხი დღეს გადაწყდება

პირველი გვერდიდან

შესწორებების შეტანის შემდეგ, კითხვაში ტერმინი "პირდაპირი კენჭისყრა", რომელიც ცესკო-მ "სამართლებრივად გაუმართავად" მიიჩნია, შეიცვალა ტერმინით – "პირდაპირი არჩევითობა". კობა დავითაშვილის აზრით, მხოლოდ ამ ერთადერთ შენიშვნაში იდო სამართლიანობის მარცვალი.

როგორც გუშინ დავითაშვილმა მასმედიასთან საუბრისას აღნიშნა, **"თავიდან ცესკო შეეცადა, პოლიტიკური შეკითხვები დაესვა. ამ მხრივ, განსაკუთრებით, გიზო მჭედლიძე აქტიურობდა. ჩემი შენიშვნების შემდეგ ცესკო-მ ამ ინიციატივისაგან თავი შეიკავა და იურიდიულ შეკითხვებზე გადავიდა."**

**"რაც შეეხება შეკითხვას: "თუ თბილისი მომხრეა, ფოთი კი - წინააღმდეგი პირდაპირი არჩევითობისა, მაშინ რა ქნას ფოთმა?" - ჩემი აზრით, ასეთი შეკითხვა ცესკო-მ კანონმდებლებს უნდა დაუსვას და არა ჩვენ,"** – აღნიშნავს კობა დავითაშვილი.

ცესკო-ს გუშინდელ სხდომას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები - მომღერალი "უცნობი", ლაშა ბუღაძე, რატი ამაღლობელი, "წვიმის მუსიკოსები" და ბასა ჯანიკაშვილი ესწრებოდნენ.

რეფერენდუმის შესახებ გადაწყვეტილებას ცენტრალური საარჩევნო კომისია დღეს მიიღებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გია ქავთარაძემ წინასწარი კომენტარისაგან თავი შეიკავა.

## „გვიღირს ასეთი რკინიგზა?"



ინტერპრესნიუსი

აქცია სახელმწიფო კანცელარიის წინ.

სოფო მერაბიშვილი

ამ შინაარსის ტრანსპარანტი გუშინ სახელმწიფო კანცელარიის წინ ოცამდე მოპიკეტემ გამოიტანა, რომლებიც აფხაზეთის გავლით რკინიგზის გახსნის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებს აპროტესტებდნენ.

აქცია ქართული ინტერნეტ-ფორუმების მონაწილეებმა მოაწყვეს, რომელთა ინიციატივითაც მანამდე რამდენიმე აქცია რუსეთის საელჩოსთან ჩატარდა. პიკეტის ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ აფხაზეთის გავლით რკინიგზის გახსნა საქართველოსთვის არახელსაყრელია. მათი აზრით, ამ ფორმით დევნილების დაბრუნება აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზე არ მოხდება. "რკინიგზის გახსნაში აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული საზოგადოება, და დაკვეთაც მისგან უნდა მოდიოდეს. რკინიგზის გახსნა მხოლოდ რუსეთისა და სომხეთის ინტერესებს ემსახურება," – აცხადებდნენ მოპიკეტეები.

ზაზა მაჭარაშვილი, აქციის მონაწილე: **"რკინიგზის გახსნით გაიზრდება რუსეთის კონტროლი ამიერკავკასიაზე. გარდა ამისა, ამით გაუჩნდება დამატებითი შემოსავლები სეპარატისტულ მთავრობას. რკინიგზის ამოქმედების შემდეგ, დევნილები დაბრუნდებიან მხოლოდ გალის ტერიტორიაზე, სამშვიდობოები უკან არ გადაიწევენ. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის არახელსაყრელია."**

გიორგი ფარცხალაძე, აქციის მონაწილე: **"რკინიგზის გახსნა თვითმიზანი არ უნდა იყოს. საქართველო დიდ კომპრომისზე მიდის. ამ დათმობამ სასიკეთო ძვრები უნდა მოგვიტანოს, ეს კი ასე არ მოხდება. გალში დევნილთა ნაწილს დააბრუნებენ და ამით დევნილებს ორად გაყოფენ."**

პიკეტის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ, თუ ხელისუფლებაში "ვინმე ამ საკითხზე დაფიქრდება", აქციის მიზანი მიღწეული იქნება.

## ბათუმის ყოფილი მერი და სანაოსნოს ყოფილი უფროსი პროკურატურაში დაიბარეს

*ბათუმის პროკურატურას ბათუმის პორტის ყოფილ უფროსთან და ბათუმის ყოფილ მერთან ასლან სმირბასთან შეკითხვები გაუჩნდა. ერთ დროს ასლან აბაშიძის "მარჯვენა ხელად" და მის "მოლარედ" წოდებული სმირბა, რომელიც მოგვიანებით, "აჭარის რევოლუციისას" აბაშიძეს განუდგა, გუშინ ბათუმის პროკურატურაში გამოცხადდა და გამომძიებლის შეკითხვებს რამდენიმე საათის განმავლობაში პასუხობდა.*

დაკითხვის დაწყებამდე ასლან სმირბამ ჟურნალსტს განუცხადა, რომ მისთვის უცნობია, არის თუ არა სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ აღძრული და რა კონკრეტული შეკითხვები აქვს პროკურატურას, თუმცა ვარაუდობს, რომ შეიძლება პროკურატურაში მისი გამოძახება სანაოსნოსთან დაკავშირებულ პრობლემებს უკავშირდებოდეს; ანუ - იმ პერიოდს, როდესაც სმირბა სანაოსნოს ხელმძღვანელი იყო. მისი განცხადებით, გამოძიებას შეკითხვები, ალბათ, გემ "მემედ აბაშიძის" შესახებაც ექნება, რომელიც, მისი განცხადებით, "თითქოსდა დაიღუპა, სინამდვილეში კი დღემდე მიჩქმალული ჰყავთ".

სმირბას თქმით, პროკურატურაში მისი დაბარება კერძო ბიზნეს-ინტერესებს არ უკავშირდება, რადგან რესტორანი "სანაპირო" მისი ერთადერთი ბიზნეს-ობიექტი იყო, რომელიც ერთი წლის წინ გაყიდა და ამჟამად მას აჭარაში ბიზნესი საერთოდ არ აქვს.

შეგახსენებთ, რომ ასლან სმირბა ბათუმის პორტის დირექტორი, საზღვაო სანაოსნოს ნავსადგურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი იყო; იყო საქართველოს პარლამენტის წევრიც, თუმცა მას შემდეგ, რაც ასლან აბაშიძესა და ასლან სმირბას შორის ურთიერთობები დაიძაბა, აჭარაში მისი ძლიერი ფინანსური გავლენა დასუსტდა. ასლან აბაშიძემ მის "მარჯვენა ხელს" "მსუყე" თანამდებობებიც დაატოვებინა და მსხვილი ბიზნეს წილებიდანაც გამოაგდო. ორ ასლანს შორის ურთიერთობის გაფუჭებას სწორედ სანაოსნოს გამო დაწყებულ გამოძიებას უკავშირებდნენ. საუბარია წლების წინ გენერალური პროკურატურის მიერ შექმნილ 200-ტომიან სანაოსნოს საქმეზე, რომელსაც სანაოსნოს 800-მილიონიანი ქონების "შეჭმაში" ეჭვმიტანილთა ვრცელი სიაც ახლდა და პირველ სამეულში აბაშიძის შემდეგ ასლან სმირბას გვარიც ფიგურირებდა. სმირბა, მართალია, გენერალურმა პროკურატურამ ეჭვმიტანილად გამოაცხადა, მაგრამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ მოახერხა, რომ, მაშინ ასლან აბაშიძის ფავორიტს, გარდა დეპუტატის იმუნიტეტისა, აჭარის ყოფილი ლიდერის პოლიტიკური გავლენაც იცავდა. გუშინ ბათუმის პროკურატურაში დაბარებულ სმირბას სწორედ სანაოსნოსთან დაკავშირებით გაჩენილ კითხვებზე მოუხდა პასუხის გაცემა. პროკურატურაში მისვლა მას კიდევ მოუწევს.

*24 საათი*

## მსოფლიო ბანკის მისია საქართველოში გზების მონიტორინგს ახორციელებს

*ამ დღეებში საქართველოში სამუშაო ვიზიტით მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლები იმყოფებიან. მათი ვიზიტის ძირითადი მიზანი მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი და შეფასებაა. სწორედ ამ მიზნით, გუშინ მათ საავტომობილო დეპარტამენტთან და ეკონომიკური განვითარების ახალ მინისტრთან ერთად, საქართველოს სამხედრო გზა და გუდაური მოინახულეს.*

პირველი გაჩერება სონდისხევზე იყო, სადაც მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში აშენებული ახალი ხიდი მოინახულეს. საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინადადებითა და დუშეთის რაიონის საკრებულოს გადაწყვეტილებით ახალ ხიდს პირველი ქართველი მეგზევისა და საგზაო დარგის მინისტრის გიორგი რობიტაშვილის სახელი მიენიჭება. აქვე, სულ მალე, მისი სახელობის მემორიალური დაფა გაიხსნება.

მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 47-ე კმ-ზე, (საქართველოს სამხედრო გზაზე) სონდიხევთან, მსოფლიო ბანკის კრედიტით დაფინანსებული ახალი ხიდის მშენებლობა 2003 წელს დაიწყო და სულ ახლახან დასრულდა. სონდისხევზე არსებული ძველი სახიდე გადასასვლელი განთავსებული იყო აქტიურ მეწყრულ, მცოცავ ზონაში და სისტემატურად განიცდიდა დეფორმაციას. საფრთხის თავიდან ასაცილებლად აშენდა ახალი ხიდი, რომელიც ფოლადრკინაბეტონისაა. მისი ბურჯები განთავსებულია არსებული გრუნტის უფრო მდგრად ზონაში.

პროექტის კორექტირების შემდეგ (ორმალიანი კონსტრუქცია გადაკეთდა ერთმალიანად) ეკონომიამ შეადგინა 537.747,44 ლარი, რაც გამოყენებულ იქნა სხვა, დამატებით შერჩეული ობიექტის მშენებლობისათვის. პირვანდელი საკონტრაქტო ღირებულება შეადგენდა 4.295.822.74 ლარს, ეკონომიის შემდეგ საერთო ღირებულებამ შეადგინა 3.792.000 ლარი. ხიდის სიგრძე 60 მეტრია, ხოლო სიგანე - 11,5 მეტრი.

სონდისხევის შემდეგ სტუმრებმა გზა გუდაურამდე გააგრძელეს, სადაც მათ მსოფლიო ბანკის კრედიტით რეაბილიტირებული გზა დაათვალიერეს. გასულ წელს მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა გუდაურის მიმართულებით მიმდინარე სამუშაოებს მაღალი შეფასება მისცეს. წელსაც, ამ გზის რეაბილიტაცია და გზის გასწვრივ უსაფრთხოების ნორმების დაცვითი ღონისძიებები მისიის მხრიდან უმაღლესად შეფასდა.

*24 საათი*

## ექვსი თვის მანძილზე ლარის ყველაზე სტაბილური კურსი დაფიქსირდა

*საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით, 2005 წლის ივნისში, ისევე როგორც მთლიანად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, სავალუტო ბაზარი განსაკუთრებული სტაბილურობით ხასიათდებოდა. აშშ დოლარის მოთხოვნა-მიწოდება თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე და მის გარეთ რაიმე სერიოზული დისბალანსით არ გამოირჩეოდა.*

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის, დავით ამაღლობელის შეფასებით, ლარის გაცვლითი კურსის ფიქსირებული რეჟიმიდან თავისუფლად მცურავ რეჟიმზე გადასვლის შემდეგ, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ყველაზე დაბალი რყევადობის (გამოისახება გაცვლითი კურსის სტანდარტული გადახრის კოეფიციენტით) 0.9-პროცენტიანი მაჩვენებელი დაფიქსირდა. უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე, აღნიშნული პარამეტრი ყოველწლიურად 2.1-დან 15.1 პროცენტამდე მერყეობდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განცხადებით, ლარის გაცვლითი კურსის უმნიშვნელო დიაპაზონში რყევა მომავალშიც შენარჩუნდება.

2005 წლის დასაწყისიდან დღემდე, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1,8100-1,8400 ლარის ფარგლებში მიმოიქცეოდა. მისივე თქმით, თებერვლის შუა რიცხვებიდან ლარი მცირედით მყარდებოდა.

მიმდინარე წლის ივნისში, მაისთან შედარებით, თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უმნიშვნელოდ შემცირდა ვაჭრობის მოცულობა – 16.8 მლნ აშშ დოლარიდან 15.9 მლნ დოლარამდე. სამაგიეროდ, თუ მაისში თბსბ-ზე დოლარის მოთხოვნა და მიწოდება მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო, ივნისში აშკარა დისბალანსი გამოიკვეთა. ამ თვეში მიწოდების მაჩვენებელი 25 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა (მაისში – 18.8 მლნ), ხოლო მოთხოვნის მაჩვენებელი - მხოლოდ 11.8 მლნ აშშ დოლარს (მაისში – 19.3 მლნ აშშ დოლარი). ეროვნული ბანკის მიერ ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრი რყევების თავიდან აცილება უმნიშვნელო ინტერვენციებით გახდა შესაძლებელი.

2005 წლის პირველ ნახევარში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ბრუნვა 23 მილიონით შემცირდა და 82.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 17.5 მილიონი აშშ დოლარი შეიძინა, ხოლო 17.2 მილიონი გაყიდა.

რაც შეეხება ევროს ბრუნვის ზრდის დინამიკას, თუ 2004 წლის იანვარ-ივნისში ამ მაჩვენებელმა 730 ათასი შეადგინა, მიმდინარე წლის ანალოგიურ პერიოდში 1.9 მლნ ევროს გაუტოლდა, აქედან 1.1 მილიონის მოცულობის გარიგება ივნისში დაიდო. 2005 წლის 30 ივნისისათვის, 1 იანვართან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი ევროსთან მიმართებაში, დაახლოებით, 12.4 პროცენტით გამყარდა და 2.1818 ლარი შეადგინა. მხოლოდ ივნისში, მაისთან შედარებით, ევრო ლარის მიმართ 3.7 პროცენტით გაუფასურდა.

2005 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის გარეთ აშშ დოლარით ვაჭრობა მნიშვნელოვნად, 54.8 პროცენტით გაიზარდა. განსაკუთრებით მოიმატა ფულადი სახსრების მოძრაობის ზრდამ ბანკებს შორის. საანალიზო პერიოდში, გასული წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, საქართველოს ბანკებს შორის აშშ დოლარის შესყიდვის მაჩვენებელი, დაახლოებით, 5,5-ჯერ გაიზარდა.

*24 საათი*

## გზების დეპარტამენტის ახალი პროექტი

თბილისის შემოსასვლელში განთავსებულ ელექტრო-ტაბლოზე გზებზე არსებული მდგომარეობისა და დაწესებული რეჟიმების შესახებ ოპერატიული ინფორმაცია განთავსდება. ამ ინფორმაციებს სხვა, მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისით მძღოლებისთვის საინტერესო ინფორმაციები, მათ შორის - ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზებიც ჩაენაცვლება. საინფორმაციო-ელექტრონული ტაბლოს მეშვეობით მძღოლებისათვის ყოველდღიურად ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია, ძირითადად, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზაზე არსებული მოძრაობის რეჟიმის შესახებ, რაც მათ, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, გაუთვალისწინებელ მორალურ და ფინანსურ ზარალს აარიდებს. ტაბლოს მართვის ცენტრი განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის შენობაში, კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო საქმიანობის ორგანიზაციის სამმართველოში, სადაც საინფორმაციო განყოფილების მორიგე-ოპერატორები 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ. საავტომობილო გზებზე ნებისმიერ დროს ამოქმედებული რეჟიმის შესახებ ინფორმაციას მორიგე-ოპერატორი მართვის ცენტრიდან ტაბლოს ეკრანზე კომპიუტერის მეშვეობით დაუყოვნებლივ გადასცემს.

*24 საათი*

## საზაფხულო ბანაკები თბილისში

თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ გუშინ დედაქალაქში, ვაკე-საბურთალოსა და გლდანი-ნაძალადევის რაიონებში არსებული, ბავშვთა დასვენებისა და გართობის საზაფხულო ბანაკები შეამოწმა. ორივე ბანაკის დამსვენებლები კაფეებში სადილობენ, სანიტარიული სამსახური ამ კაფეების სასადილოებში არსებული სანიტარიული მდგომარეობით კმაყოფილი დარჩა.

დედაქალაქის ტერიტორიაზე 11 ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურმა ბავშვთა დასვენებისა და გართობის 6 საზაფხულო ბანაკი ("ცისარტყელა", "მზიური", "წიქარა," "მზიანეთი", "არგო" და "იმედი") გახსნა. ბავშვების ასაკი განსაზღვრულია 7-დან 14 წლამდე. ისინი სკოლის ხელმძღვანელობამ მშობელთა განცხადებების საფუძველზე შეარჩია. ბავშვები ბანაკებში დილის 10-დან 5 საათამდე რჩებიან. აღნიშნული პროექტი 7 აგვისტომდე გაგრძელდება და ბავშვები ორ ეტაპად დაისვენებენ. ბანაკები სულ 100 სოციალურად დაუცველ ბავშვს მოემსახურება. პატარები ბანაკებში გატარებული დღეებით კმაყოფილები არიან. მართალია, ჯერჯერობით, მხოლოდ ბანაკების ტერიტორიაზე ერთობიან, მაგრამ პროექტის განმხორციელებელი, ვაკის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელობა მათ ქალაქგარეთ გაყვანასაც ჰპირდება, თუკი გამგეობა ტრანსპორტს გამოუყოფს.

*რუსუდან ველიჯანაშვილი*

## ერთიანი ეროვნული გამოცდები ფოთში ექსცესების გარეშე მიმდინარეობს

ქეთინო ჯაკობია
ფოთიდან

შეფასებისა და ეროვნული გამოცდების 15 ცენტრიდან ერთ-ერთი ფოთში, ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-5 სკოლაშია განთავსებული. აქ გამოცდებს, ფოთელებთან ერთად, ხობელი, სენაკელი, აბაშელი და ლანჩხუთელი კურსდამთავრებულები აბარებენ. პირველი სესია, ანუ გამოცდა, ქართულ ენასა და ლიტერატურაში 605-მა აბიტურიენტმა ჩააბარა. მისაღები გამოცდებისათვის დამახასიათებელი მღელვარება და გულშემატკივართა სიმრავლე აქაც შეიმჩნეოდა, თუმცა, კარგმა ორგანიზებამ, პოლიციის, სახანძრო და სასწრაფო დახმარების სამსახურების მობილიზებამ შესაძლებელი გახადა ექსცესების თავიდან აცილება.

გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებით საინტერესო სკოლის ეზოში დამონტაჟებული ე.წ. ვიდეოთვალი აღმოჩნდა, საიდანაც ისინი სესიის მსვლელობას აკვირდებოდნენ. აბიტურიენტთა დიდი ნაწილისთვის ტესტები საშუალო სირთულის იყო და, როგორც "24 საათთან" საუბრისას აცხადებენ, სათანადო შეფასებაშიც დარწმუნებულნი არიან.

ერთიან ეროვნულ გამოცდებს ფოთში წინ მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა. მე-5 სკოლის დირექტორის თენგიზ ქილიფთარის თქმით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 20 ათასი ლარი გამოიყო, გადაწყდა სველი წერტილებისა და ელექტროენერგიის პრობლემა, ჩატარდა კოსმეტიკური სამუშაოები, 240 ინდივიდუალური მერხი და დასაკეცი სკამი თბილისიდან საგამოცდო ცენტრმა ჩამოიტანა. "ოთხი წლის მანძილზე ეროვნული გამოცდები ჩვენს სკოლაში ჩატარდება. შესაბამისად, ინვენტარიც აქ დარჩება," - აცხადებს ქილიფთარი.

ორგანიზებით კმაყოფილია შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ქ. ფოთის ცენტრის ადმინისტრატორი კობა კვარაცხელია. "აბიტურიენტებმა სესიის მიმდინარეობისას დიდი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს. მათ ზედმიწევნით დაიცვეს ის ახალი, თავისებური ნიუანსები, რომელიც მკაცრად კონტროლდება. ჩვენს საგამოცდო ცენტრში არც ერთ კურსდამთავრებულს გაფრთხილებაც კი არ მიუღია," - ამბობს კვარაცხელია.

თითოეულ სესიას ცამეტივე საკლასო ოთახში მეთვალყურე და კურატორი ესწრებიან. კურსდამთავრებულს რამდენიმეჯერ აცნობენ გამოცდაზე დასწრებისა და ქცევის წესებს. "შპარგალკის" გამოყენება ბუნებრივად გამოირიცხა. მარტივი ტექნიკური ხარვეზების გარდა, აბიტურიენტებმა და მეთვალყურეებმაც ადაპტაცია უპრობლემოდ გაიარეს.

"გამოცდები პირველი იყო ჩვენთვისაც, და მე მას უმაღლეს შეფასებას ვაძლევ. სკოლის კოლექტივის ენთუზიაზმის დონე ძალიან მაღალია. კურსდამთავრებული დარწმუნებულია, რომ მას არავინ დაეხმარება და საკუთარი ცოდნის გამოვლენის მაქსიმალური შესაძლებლობა ეძლევა. ცალკეული ნიუანსები დასახვეწია, და მათ, ალბათ, მოგვიანებით შევაჯერებთ," - ამბობს შეფასებისა და ეროვნული გამოცდების ქ. ფოთის ცენტრის კოორდინატორი რევაზ ჯორბენაძე.

სესიის დასრულებისთანავე ნამუშევრები ილუქება და ისინი სპეციალური მანქანებით ქვეყნის დედაქალაქში გადააქვთ.

## ქობულეთში მოქმედი ყაჩაღური ჯგუფი დააკავეს

ქობულეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა, ყაჩაღობის ბრალდებით, დააკავეს ქობულეთში მცხოვრებნი: 18 წლის ირაკლი სანიკიძე, 17 წლის ბექა დობორჯგინიძე და 21 წლის ოლეგ ნუცუბიძე, რომლებიც ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირზე თავს დაესხნენ 20 წლის ნინო უკლებას და 22 წლის სოფო ნიკურაძეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უკლებას ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცეს ფოტოაპარატი და 25 ლარი, სოფო ნიკურაძეს კი - ფოტოაპარატი და პლეიერი.

გარდა ამისა, მათ ზღვისპირას პარკში 30 წლის ედიტა ცეცხლაძეს, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, გასტაცეს მობილური ტელეფონი, 16 წლის ნინო ხუციშვილს - მობილური ტელეფონი, 17 წლის ფატიმა რობაქიძეს - მობილური ტელეფონი, 15 წლის ლევან ცერცვაძეს - ფოტოაპარატი და პლეიერი და 26 წლის დათო სახეჩიძეს - საფულე 75 ლარით, 20 ევროთი და 11 აშშ დოლარით.

დაკავებული სანიკიძის ბინიდან ამოიღეს გატაცებული ნივთები და საფანტის პისტოლეტი "ვოლტერი-99" მჭიდითა და 4 ვაზნით.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ICAO-ს შეფასება

პირველი გვერდიდან

შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ ომი, თავის დროზე, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროში დაიწყო. ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ზე, ლამის ყოველდღე, სკანდალს სკანდალი მისდევდა და, ხან "ახალი ქსელებისა" და ფრიდონ ინჯიას, ხანაც ქონების მართვის სამინისტროსა და საქართველოს კომუნიკაციების თემა ერთმანეთს ენაცვლებოდა. შევარდნაძის ციხე შიგნიდან გატყდა. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს მერაბ ადეიშვილს მისივე მოადგილე აუჯანყდა. გიორგი კარბელაშვილს, რომელიც აწ უკვე პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად მოქმედებდა, მაშინ თანამდებობა დაატოვებინეს. მოგვიანებით შეძენილი "მოჩხუბარას" სახელი კარბელაშვილს არც სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს დაუკარგავს. დღეს კარბელაშვილი, ერთი შეხედვით, მშვიდ საქმეს - აერონავიგაციას - ხელმძღვანელობს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად სულ სხვა სურათთან გვაქვს საქმე, დაპირისპირებას და სკანდალს მაინც ვერ ავცდით.

წუხელ თბილისი, ოთხდღიანი ვიზიტის შემდეგ, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO - "იკაო") ხელმძღვანელმა კარსტენ ტეილმა და ამავე ორგანიზაციის ოფიცერმა ჯორჯ ფირიკანმა დატოვეს. მათი განცხადებით, ვიზიტი საქართველოს ავიაციაში მიმდინარე ცვლილებებსა და "საქაერონავიგაციის" მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაკეთებულ განცხადებებს ეძღვნებოდა. თუმცა, ვიზიტმა სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი დეტალებიც გამოააშკარავა.


კარსტენ ტეილი.

პირველი - ის, რომ გახმაურდა ამბავი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის არსებული უთანხმოების შესახებ, რომლის შედეგადაც საქართველომ საჰაერო ტრაფიკი დაკარგა. მეორე - საქართველოს, დავალიანების გამო, "იკაოში" ხმის უფლება აქვს დაკარგული და ვალის გადახდის დრო მოვიდა. და მესამე ის, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას და "საქაერონავიგაციას" დიდი ხანია, ერთმანეთი არ ეპიტნავებათ.

აზერბაიჯანთან არსებულ უთანხმოებაზე კარსტენ ტეილი აცხადებს, რომ პრობლემას ვერ ხედავს და **"ეს ორი ქვეყნის სამოქალაქო ადმინისტრაციების მოსაგვარებელი საქმეა".** თუმცა, ტეილს არ აქვს პასუხი კითხვაზე: რას მოიმოქმედებდა ის იმ შემთხვევაში, თუ მისი ქვეყანა დაკარგავდა თვეში 1,2 მილიონს და უფრო მეტსაც. ტეილს არც ის უკვირს, რომ ორი მოსისხლე მტერი - აზერბაიჯანი და სომხეთი ერთობლივი საჰაერო ტრასის გახსნაზე შეთანხმდნენ, რაც პირდაპირი დარტყმაა საქართველოს ავიაციაზე. "იკაოს" ხელმძღვანელი ამ საკითხებზე ნოღაიდელთანაც საუბრობდა, თუმცა ოფიციალურ განცხადებებში ის მხოლოდ იმას აფიქსირებდა, რომ პრობლემას ვერ ხედავს და პრემიერ-მინისტრთან სასაუბრო თემა "იკაოსთან" დავალიანება გახლდათ.

სწორედ ხსენებული დავალიანების გამო, არც უნდა იყოს გასაკვირი, რომ ორგანიზაცია ამ უთანხმოებას, რომელიც შესაძლოა მალე საერთაშორისო სკანდალში გადაიზარდოს, პრობლემად არ თვლის. გასაგებია ისიც, რომ ამ პოზიციით "იკაო" გადამხდელი აზერბაიჯანის ინტერესებს უფრო დაიცავს. მაგრამ რას აკეთებს ამ დროს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია? მისი ხელმძღვანელი გიორგი მჟავანაძე აცხადებს, რომ **"ეს ორი ქვეყნის ნავიგაციებს შორის მოსაგვარებელი საკითხია".** თუმცა, კანონით, ამგვარი საკითხები ევალება არა ნავიგაციას, არამედ ადმინისტრაციას. ინერტულობაში სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას მჟავანაძემდეც ადანაშაულებდნენ. რამდენიმე წლის წინათ, მას ავიაკომპანიებმაც კი უჩივლეს იმ მოტივით, რომ ადმინისტრაცია ქვეყნის ავიაციის ინტერესებს არანაირად არ იცავდა და მხოლოდ ხარკის ამკრეფის ფუნქციას ასრულებდა. სასამართლომ მაშინ დააკმაყოფილა ავიატორების სარჩელი, თუმცა ექსპრემიერ-მინისტრის ძალისხმევით, ადმინისტრაციას "ფუქნცია" გასულ წელს ისევ აღუდგინეს. ადმინისტრაცია ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე დადგა და, ნაცვლად საკითხის მოგვარებისა, გამოაცხადა, რომ პრობლემა შემოდგომაზე პარიზში დაგეგმილ, ავიატრასების დაგეგმარების ჯგუფის შეხვედრაზე მოგვარდება. თუმცა უცნაურია, რატომ ვართ ისევ სხვის იმედზე, როცა ხელიდან ლუკმას გვართმევენ.

საერთოდ, უცნაური გახლდათ ერთი რამ - ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ ტეილი და ფირიკანი მას სტუმრობდნენ და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, ვინაიდან "იკაოში", ზოგადად, სხვადასხვა ქვეყნებს სწორედ ეს უწყებები წარმოადგენენ, ფაქტობრივად კი, ვიზიტის უდიდესი ნაწილი "იკაომ" "საქაერონავიგაციაში" და მის ობიექტებზე გაატარა. როგორც გაირკვა, მას იმ ინფორმაციის დადასტურება სურდა, რომელიც მსოფლიოში გავრცელდა. **"საქაერონავიგაციაში მიმდინარე პროცესების შესახებ ბევრი მსმენია, ჩემი ვიზიტის ერთ-ერთი მიზანიც ამის დადასტურება იყო. საქართველოს ვტოვებ იმ შთაბეჭდილებით, რომ ქართულ ნავიგაციაში რევოლუციური ცვლილებებია განხორციელებული და ასეთი დონე ევროპის ბევრ განვითარებულ ქვეყანაშიც არ არის. ვფიქრობ, რომ თუ სააკაშვილი ანალოგიურის გაკეთებას სხვა სფეროებშიც შეძლებს, საქართველოს მალე გაუჩნდება ევროგაერთიანებაში შესვლის საფუძვლიანი პრეტენზია. ისიც გავიგე, რომ ბატონი კარბელაშვილის წინააღმდეგ ხშირად კამპანია გორდება, თანამშრომლების გაყრისა და არაკომპეტენტურობის ბრალდებით. თუმცა, ასეთი აქ მე ვერაფერი დავინახე. პირიქით, "საქაერონავიგაციაში" უმაღლესი და უახლესი ტექნოლოგიებია დამონტაჟებული და მისი ტექპერსონალიც სრულად პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს. ასეთი ტემპებით საქართველო, დაკარგავს კი არა, გაცილებით მეტ მომხმარებელს შეიძენს და აქ გამორიცხულია ისაუბრო ტრაფიკის დაკარგვაზე. მე ბატონ კარბელაშვილსაც მოვახსენე და ქვეყნის ხელისუფლების გასაგონადაც ვიტყოდი, რომ "საქაერონავიგაციაში" მიმდინარე რეფორმები აუცილებლად ბოლომდე უნდა მივიდეს. ეს თაობებზე გათვლილი საქმეა და, არა მგონია, საქართველოს პრეზიდენტმა და მთავრობამ ეს შანსი დაკარგოს. რაც შეეხება ჩვენს ინტერესს, რა თქმა უნდა, ასეთი არსებობს, ვინაიდან ჩვენ ყოველთვის მივესალმებით ძლიერ და ახალ სიტყვას მსოფლიო ავიაციაში,"** – ამბობს ტეილი და დასძენს, რომ კარბელაშვილსა და მჟავანაძეს შორის დაპირისპირების შესახებ არავითარ ინფორმაციას არ ფლობს.

ღიად ამ დაპირისპირების შესახებ არც ადმინისტრაცია, არც "საქაერონავიგაცია" საუბრობენ, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ისინი რამდენიმე საკითხის მოგვარებას სასამართლოში ცდილობენ. არსებობს ასევე ინფორმაცია, რომ მთავრობის კულუარებში უკვე ბჭობენ კარბელაშვილსა და მჟავანაძეს შორის არჩევანის შესახებ. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სააკაშვილი და კარბელაშვილი დიდი ხანია, ერთად "მოდიან", ამასთან, მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ქართული ავიაციის პროგრესირებაში აქტიურად არის ჩართული პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროებისა კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეც, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, არჩევანი ვისზე გაკეთდება, თუკი ამის აუცილებლობა მართლა დადგა.

## ორი სიტყვით

**ერაყი.** ცხრა ადამიანი დაშავდა გუშინ ბაღდადის ცენტრში დანაღმული ავტომანქანის აფეთქების შედეგად. როგორც იუწყებიან, კამიკაძე-ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობა ე.წ. "მწვანე ზონის" შესასვლელში პოლიციის განყოფილებასთან აამოქმედა. კიდევ ერთი ტერორისტი "შაჰიდის ქამრით" პოლიციელებმა ამ რაიონის მახლობლად დაცხრილეს. "მწვანე ზონაში" სამთავრობო შენობების კომპლექსი და უცხო ქვეყნების საელჩოებია განთავსებული. გაერო-მ და აშშ-მ დაგმეს ერაყის დედაქალაქში ორი დღის წინ განხორციელებული ტერაქტი, რის შედეგად დაახლოებით 30 ადამიანი დაიღუპა და 70 დაიჭრა. დანაღმული ავტომანქანა ამერიკულ სამხედრო მანქანასთან აფეთქდა, სადაც ამ დროს ჯარისკაცები ერაყელ ბავშვებს ტკბილეულს ურიგებდნენ. ტერაქტის შედეგად დაღუპულთა უმრავლესობას ბავშვები შეადგენენ. ასევე დაიღუპა ერთი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე და კიდევ სამი დაიჭრა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**რუსეთი.** რუსეთმა აშშ-სგან ნავთობკომპანია "იუკოსის" თანამფლობელის, ლეონიდ ნევზლინის ექსტრადიცია მოითხოვა. როგორც ვაშინგტონში რუსეთის საელჩოს წარმომადგენელმა ევგენი ხორიშკიმ განაცხადა, ნევზლინს "სერიოზულ დანაშაულებებში ედება ბრალი" და რუსეთი მის გადაცემას მოითხოვს. ოთხშაბათს ნევზლინი ვაშინგტონში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კომისიის სხდომაზე გამოვიდა. კომისია აშშ-ს მთავრობის შემადგენლობაში დამოუკიდებელ სტრუქტურებს წარმოადგენს. მისი წევრები სენატორები, კონგრესმენები, ასევე სახელმწიფო დეპარტამენტის, თავდაცვის და ვაჭრობის სამინისტროთა წარმომადგენლები არიან.

ნევზლინმა წამოაყენა წინადადება, გარიცხონ რუსეთი "დიდი რვიანიდან" და არ მიიღონ ის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რადგან, მისი აზრით, რუსეთი დემოკრატიის და ეკონომიკის სფეროებში აუცილებელ კრიტერიუმებს არ პასუხობს.

შარშან ივლისში რუსეთის ხელისუფლებამ ისრაელში მცხოვრებ ნევზლინზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. გენერალური პროკურატურა მას რამდენიმე მკვლელობის დამკვეთად თვლის. **ინტერპრესნიუსი**

# ლონდონის ტერაქტების ორგანიზატორის ვინაობა ცნობილია



დიდი ბრიტანეთის პოლიციამ 7 ივლისს ლონდონის საზოგადოებრივ ტრანსპორტში განხორციელებული ტერაქტების ორგანიზატორის ვინაობა დაადგინა. ამის შესახებ გუშინ გაზეთი "თაიმსი" იუწყებოდა. გამოცემა ირწმუნება, რომ ეჭვმიტანილი წარმოშობით პაკისტანელია, მაგრამ ბრიტანეთში დაიბადა. გაზეთის თანახმად, მისი ვინაობა ცნობილია, თუმცა, ჯერჯერობით არ ახმაურებენ.

**"ვარაუდობენ, რომ ტერორისტული ჯგუფის ლიდერი დაახლოებით 30 წლის არის და წარმოშობით პაკისტანელია,** - იტყობინება "თაიმსი", **- ის ერთ-ერთ ბრიტანულ პორტში ივნისში ჩავიდა და, სავარაუდოდ, ერთი დღით ადრე, სანამ ოთხმა თვითმკვლელმა ტერორისტმა მინიმუმ 52 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ქვეყანა დატოვა."**

"თაისმი" აღნიშნავს, რომ სპეცსამსახურების ხელთ არსებული მონაცემებით, ეს ადამიანი აშშ-ში "ალ ქაიდას" უჯრედთან არის დაკავშირებული და ადრე სხვა ტერაქტების ორგანიზებაში მონაწილეობდა.

7 ივლისს ლონდონში მომხდარი აფეთქებების წინ, ტერაქტის სავარაუდო ორგანიზატორი ქალაქ ლიდსში შემსრულებლებს შეხვდა და მათ ინსტრუქტაჟი ჩაუტარა. ამ პიროვნებამ თვითმკვლელებს ის ადგილებიც დაუსახელა, სადაც ტერაქტები უნდა განეხორციელებინათ.

პოლიცია განაგრძობს იმ ადამიანების ძებნას, რომლებიც სათვალთვალო კამერის ვიდეოჩანაწერის თანახმად, ლუტონის რკინიგზის სადგურზე ოთხი ტერორისტის გვერდით იდგნენ, როცა ისინი ლონდონში მიემგზავრებოდნენ. იძებნება ტერორისტული უჯრედის კიდევ ერთი წევრი, რომელიც, პოლიციის მონაცემებით, ასაფეთქებელ მოწყობილობებს ამზადებდა. სამართალდამცავი ორგანოები არ გამორიცხავენ, რომ ტერორისტულ ორგანიზაციაში სხვა წევრებიც შედიოდნენ, თუმცა, მათ კვალზე გასვლა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

*რია ნოვოსტი*

## კენიაში არსებულმა შიდა დაპირისპირებამ 22 ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა

ნანა ნასყიდაშვილი

*კენიაში მცხოვრებ სხვადასხვა ტომებს შორის სისხლიანი დაპირისპირების მიზეზი ხშირად შინაური ცხოველები და საძოვრები ხდება. მსგავსი საბაბით სამშაბათს დილით მომხდარმა ინციდენტმა 60-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დაღუპულთა შორის 22 ბავშვია. ქვეყნის ხელისუფლება მშვიდად საუბრობს კენიაში ტომთა შორის არსებულ შეიარაღებულ ურთიერთთავდასხმებზე და მსგავს შემთხვევათა აღკვეთის მიზნით, როგორც ჩანს, არანაირი გადამჭრელი ზომების მიღებას არ აპირებს.*

კენიაში საძოვრებისა და რქოსანი ცხოველების მიტაცების საბაბით მოსახლეობას შორის შეტაკებები ქვეყნისთვის იშვიათი მოვლენა არ არის. მაგრამ სამშაბათს მომხდარი ვანდალური ქმედება, რომლის შედეგადაც 60-მდე ადამიანი დაიღუპა, კენიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი და სამარცხვინო ლაქაა.

ტრაგედია სოფელ ტურბში სამშაბათს დილით სწორედ მაშინ დატრიალდა, როდესაც ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ. თავდამსხმელები, რომლებიც თვითმხილველთა თქმით, ცეცხლსასროლი იარაღით, ხელყუმბარებით, შუბებითა და დანებით იყვნენ შეიარაღებულნი, მეზობელი ტომის - ბორანას წარმომადგენლები იყვნენ. დამნაშავეებმა სოფელში შეჭრისთანავე ქუჩაში მიმავალ ბავშვებს ცეცხლი გაუხსნეს. მოგვიანებით, შეირაღებულმა პირებმა ადგილობრივ მცხოვრებთა საცხოვრებელ სახლებში დაიწყეს შეჭრა. **"ინციდენტის შედეგად 56 ადამიანია დაღუპული, მათ შორის 22 ბავშვია,"** - განაცხადა კენიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბონაია გოდანიმ შემთხვევის ადგილის მონახულების შემდეგ.

ერთ-ერთი ქალბატონის თქმით, თავდამსხმელებმა მას ორი შვილი ცეცხლსასროლი იარაღით მოუკლეს, ხოლო მის მეუღლეს თავი მოჰკვეთეს. **"მოგვიანებით მათ მსჯელობა დაიწყეს იმის შესახებ, ღირდა თუ არა ჩემი მოკვლა, მაგრამ ქალის სიკვდილი უაზროდ მიიჩნიეს და მეც გადავრჩი,"** - აღნიშნავს ტალასო მალიხა. ტურბის კიდევ ერთი მცხოვრების თქმით, ბორანას ტომის წარმომადგენლები მის სოფელში ადგილობრივი დროით დილის 6 საათზე შეიჭრნენ. **"ისინი დაუნდობლად ხოცავდნენ ყველას, ძარცვავდნენ სახლებს და ერეკებოდნენ სოფლის მოსახლეობის საქონელს. შუადღისთვის სოფელში სრული ქაოსი სუფევდა,"** - ამბობს გაგალო ხუკა. კენიის ქალაქ მარსაბიტში არსებული მშვიდობისა და სამართლიანობის კათოლიკური არასამთავრობო ორგანიზაციის აქტივისტის განცხადებით, აღნიშნული ინციდენტი შესაძლოა გაბრის მიერ ბორანას ტომზე ახლახანს განხორციელებული თავდასხმის საპასუხოდ გარკვეულ შურისძიებას წარმოადგენდა. **"გაბრასა და ბორანას ტომებს შორის ურთიერთთავდასხმები სამი თვეა, რაც მიმდინარეობს,"** - აღნიშნა ორგანიზაციის აქტივისტმა. კენიის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, 2005 წელში მსგავსი თავდასხმების შედეგად უკვე ათეულობით ადამიანი დაიღუპა.

## რუსეთში "კორუფციის" წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო

*მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ვლადიმირ პუტინის, სავარაუდო კონკურენტს, რუსეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, მიხაილ კასიანოვს "თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და ტყუილში" სდებენ ბრალს.*

ჯერ კიდევ მაისში მიხაილ კასიანოვი პრეზიდენტ პუტინს რუსეთის "საბჭოთა რეჟიმში" დაბრუნების მცდელობაში სდებდა ბრალს. ორი თვის შემდეგ, რუსეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, რომელსაც სურდა, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიეღო მონაწილეობა როგორც ლიბერალ კანდიდატს, "თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და ტყუილში" ადანაშაულებენ. 47 წლის კასიანოვი, რომელიც 2000-2004 წლებში პრეზიდენტ პუტინის პრემიერ-მინისტრი იყო, "ცენტრისტებისა" და "ლიბერალების" შესაძლო "გამაერთიანებლად" მოიაზრებოდა.

2004 წლის თებერვალში ალექსანდრ ხინშტეინმა მიხაილ კასიანოვს მოსკოვის ყველაზე პრესტიჟულ უბანში სახელმწიფო რეზიდენციის მისაკუთრებაში დასდო ბრალი. ალექსანდრ ხინშტეინი, ჟურნალისტი და პუტინის მომხრე პარტიის წევრი არ მალავს რუსეთის საიდუმლო სამსახურებთან ("კაგებე"-ს მემკვიდრეებთან) თავის კავშირებს. დუმაში თავის სამუშაო ოთახში მაგიდის თავზე ხინშტეინს "კაგებე"-ს დამაარსებლის ფელიქს ძერჟინსკის პორტრეტი უკიდია.

ამ "ჟურნალისტის" ცნობით, კასიანოვმა 32 მლნ რუსულ რუბლად (940 000 ევრო) შეიძინა სახელმწიფო რეზიდენცია, რომელიც 830 მლნ რუსულ რუბლად (24 მლნ ევრო) არის შეფასებული. რუსეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს თავისი ოლიგარქი მეგობრის, "ალფა ჯგუფის" მეპატრონის მიხაილ ფრიდმანის დახმარებაშიც ადანაშაულებენ, რომელმაც კასიანოვის ხელშეწყობით მეზობლად შეიძინა ვილა.

თვით კრემლის პოლიტოლოგებიც კი, მათ შორის სერგეი მარკოვი აცხადებს, რომ "ნათელია, კასიანოვის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება მისი პიროვნების დისკრიმინაციას ისახავს მიზნად, განსაკუთრებით კი, დასავლეთის თვალში... მეეჭვება, რომ საქმე სასამართლო პროცესამდე მივიდეს, - აღნიშნა სერგეი მარკოვმა, - თუმცა, შესაძლოა, რომ მოკვლევა თვეებისა და წლების განმავლობაში გაგრძელდეს, რაც კასიანოვის პოლიტიკურ კარიერას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის."

კასიანოვის საქმის სასამართლოში გადაცემა და კორუფციაზე ყურადღების გამახვილება, რაც რუსეთის მაღალ ეშელონებში კვლავ მიმდინარეობს, კრემლისთვისაც საზიანოა. ეს ბრალდება მხოლოდ "გაფრთხილებაა" კასიანოვისა და იმ პოლიტიკოსებისთვის, რომლებიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ეცდებიან, - აცხადებს რუსი ანალიტიკოსების დიდი ნაწილი. იმ ადამიანების ცნობით, რომლებიც კარგად იცნობენ რუსული პოლიტიკის თამაშის წესებს, დასაშვებია, რომ ამ ბრალდებით კასიანოვის კანდიდატურის გამოკვეთასაც ცდილობდნენ.

**ლიბერასიონი (საფრანგეთი)**


## ყურადღება! არქიტექტორული კონკურსი

ფონდი "ხელოვნების უბანი - სამუზეუმო ქუჩა" აცხადებს არქიტექტორულ კონკურსს გუდიაშვილის ქუჩისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის გენერალური გეგმის და სამუზეუმო ქუჩა/ხელოვნების უბნის კონცეფციის შემუშავებაზე.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია 6 პრემია:
ერთი პირველი პრემია 5.000 აშშ დოლარი
ერთი მეორე პრემია 3.000 აშშ დოლარი
ერთი მესამე პრემია 2.000 აშშ დოლარი
სამი წამახალისებელი პრემია 500 აშშ დოლარი

საკონკურსო მასალები გაიცემა 2005 წლის 17 ივლისამდე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურიდან.

**მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 89/24, II სართული.**
**ტელ. 92-35-73, 877 570 602**



## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს კონკურსს კერძო სპეციალიზებულ (გასართობი) რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გამოაცხადა კონკურსი კერძო სპეციალიზებულ (გასართობი) რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის მისაღებად შემდეგი პირობებით:

| ქალაქი | სამაუწყებლო ზონა | ანტენის განთავსების ადგილი | გეოგრაფიული კოორდინატები | ანტენის სიმაღლე მიწის ზედ. მ | FM რადიოსიხშირე მგჰც | სიმძ კვტ | ანტენის გასხივების დიაგრამა | სამაუწყებლო ზონის საშ.რად კმ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 1 | თბილისის ანძა | 44E47; 41N41 | 100 | 93.8 | 1 | წრიული | 25 |

ა) ერთი გადამცემის გამოყენებით, პირველ სამაუწყებლო ზონაში:
ბ) სამოქმედო ზონა - ქ. თბილისი. (სამაუწყებლო ზონა - 1)
გ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 10.692,00 (ათი ათას ექვსას ოთხმოცდათორმეტი) ლარით;
დ) კონკურსის ჩატარების თარიღად გამოცხადდეს 2005 წლის 23 სექტემბერი 13:00 საათი;
ე) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოხდეს 2005 წლის 14 ივლისის 17:00 საათამდე;
ვ) მოსამზადებელი სხდომის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2005 წლის 22 ივლისის 16 საათი;
ზ) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა განისაზღვროს 12 საათით;
დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ კომისიის ინტერნეტგვერდზე:
ან კომისიაში: ალ. ყაზბეგის გამზ. #42, მე-3 სართულზე
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოცხადებული კონკურსის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტგვერდზე:
http://new.gncc.ge/index.php?lang-id=GEO&sec-id=2100&info-id=3120
ან კომისიაში მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. #42 მე-3 სართული.



## ცხადდება კონკურსი ქალაქ თბილისის მერიასა და საკრებულოში არსებულ თანამდებობებზე

ქალაქ თბილისის მერიასა და საკრებულოში ცხადდება კონკურსი ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება 18 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

სააქციო საზოგადოება "გამოფენების ცენტრი ექსპო ჯორჯია", მე-11 პავილიონი, აკაკი წერეთლის N118.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. წერილობითი განცხადება კომისიის თავმჯდომარის სახელზე;

2. ავტობიოგრაფია დადგენილი ფორმის შესაბამისად;

3. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა და მისი ასლი;

4. შრომის წიგნაკი და მისი ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

5. ორი ფოტოსურათი 3X4;

6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი;

არსებული ვაკანსიების ჩამონათვალი, კონკურსის თემატიკა და პროგრამა, ასევე სხვა დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოითხოვოთ აკაკი წერეთლის N118-ში მდებარე მე-11 პავილიონში განლაგებულ საინფორმაციო ბიუროში ან ვებ-გვერდზე www.Tbilisi.gov.ge

კონკურსთან დაკავშირებით თქვენს კითხვებს 24 საათის განმავლობაში უპასუხებს ქალაქ თბილისის მერიისა და საკრებულოს ცხელი ხაზი

994 (111)
933 838
933 839



სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ადიგენის რაიონის სოფელ ლელოვანის სკოლის რემონტი**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ადიგენის რაიონის ლელოვანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ლელოვანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ადიგენის რაიონი,**
**ლელოვანის თემის საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: აკაკი ჭანტურიძე**
**ლელოვანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 20 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ადიგენის რაიონი,**
**ლელოვანის თემის საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: აკაკი ჭანტურიძე**
**ლელოვანის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 16 აგვისტოს 17:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **17:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03



სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ადიგენის რაიონის სოფელ მოხეს სკოლის რემონტი**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ადიგენის რაიონის მოხეს თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **მოხეს თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ადიგენის რაიონი,**
**მოხეს თემის საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: ოთარ ბერიძე**
**მოხეს თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 20 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ადიგენის რაიონი,**
**მოხეს თემის საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი: ოთარ ბერიძე**
**მოხეს თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 16 აგვისტოს 15:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# ანტიფეხბურთი

პაატა თოთაძე

**უეფას თასი**

**ტორპედო (ქუთაისი) – ბატე (ბელარუსი) 0:1**

***ტორპედო:*** *რევიშვილი, ბარაბაძე, გამეზარდაშვილი (ფრანგიშვილი 79), ბაქრაძე, რაქვიაშვილი, სოსელია (შალამბერიძე 53), ჩხეტიანი (ტეხოვი 46), ბოლქვაძე, ახალაია, კაკალაძე, ჯიქია*

***ბატე:*** *ფედაროვიჩი, ლიხტაროვიჩი, მოლაში, რაჟკოი, ბაჰა, ჰარკუშა, ერმაკოვი, რუბნენკა (ვიშნიაკოვი 63), ლებედევი (ბარანაუ 83), კობეტსი, სტასევიჩი (ჟაუნერჩიკი 73)*

***გოლი:*** *ბაჰა (25)*





იმას, რაც გუშინ "ლოკომოტივზე" ხდებოდა, ოფიციალურად ფეხბურთი ერქვა, მაგრამ სპორტის ამ სახეობასთან კავშირი ძალიან მცირე ჰქონდა. ვაკეში ფეხბურთს მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა, ბელორუსული "ბატე", "ტორპედოს" "შემოქმედებას" კი ანტიფეხბურთი ჰქვია, სხვა არაფერი.

გუნდი მოუმზადებელიაო, შეკრება არ გაგვივლიაო, - რა აღარ ითქვა ქუთაისელთა მხრიდან მატჩის წინ. გუნდში მართლაც მძიმე მდგომარეობაა და შეიძლება ვინმემ გაამართლოს კიდეც "ტორპედო" – აბა სხვას რას ელოდით მოუმზადებელი გუნდისგანო, მაგრამ...

განა ისეთი რა მოუმზადებელნი იყვნენ ქუთაისელები, რომ მეტოქის კარში ბურთი ვერ დაარტყეს პენალტს თუ არ ჩავთვლით? ფედაროვიჩი ერთადერთხელ გადახტა 90 წუთის განმავლობაში, როცა კაკალაძის მიერ დარტყმული პენალტი მოიგერია. და ესაა გუნდი, რომელმაც საქართველოს ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. სამაგიეროდ, საქმე არ გამოლევია რევიშვილს – ერთადერთ ნათელ წერტილს ქუთაისელთა შემადგენლობაში. ახალგაზრდა გოლკიპერს არც რეაქცია დაეწუნებოდა და არც გამოსვლაზე თამაში, რაც ქართველი მეკარეების აქილევსის ქუსლია. რევიშვილი და კიდევ ბელორუსთა დაბალი კლასი რომ არა, ანგარიში კატასტროფული იქნებოდა. სტუმრები მომენტს მომენტზე ქმნიდნენ, მაგრამ გოლის გატანას ან ქართველი მეკარე არ ანებებდა ანაც თავად სცოდავდნენ გადამწყვეტ მომენტში. პირველად რევიშვილი თამაშში მე-15 წუთზე ჩაერთო – მარჯვნიდან ჩაწოდებულს ბარაბაძე ვერ შესწვდა და მეტოქის თავურის მოგერიება მარჯვენა დაბალ კუთხეში რევიშვილს მოუხდა. საერთოდ ბარაბაძე გუშინ არაერთხელ შეცდა, თუმცა ასეთ მდგომარეობაში ის მარტო არ ყოფილა. მცველები, ნახევარმცველები, თავდამსხმელები – გუშინ ყველანი სცოდავდნენ. გამეზარდაშვილი და ჩხეტიანი ტრავმირებულნი თამაშობდნენ, მაგრამ გამეზარდაშვილს, ასე თუ ისე, კიდევ გამოსდიოდა რაღაც, რასაც ვერ ვიტყვით ჩხეტიანზე. ნახევარმცველთა უნიათობით თამაშგარე დარჩნენ შემტევებიც, თუმცა ვერც მათ ივარგეს, როცა ორჯერ შეექმნათ რაღაც მომენტის მაგვარი.

პირველად ჯიქიამ სცადა თავით გაეგდო ბურთი, როცა მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩა, მაგრამ ფედაროვიჩმა მკერდით ითამაშა საჯარიმოს გარეთ. მეორედ კი ჯიქიას სისწრაფე არ ეყო გოლკიპერთან ერთი ერთზე რომ დარჩენილიყო. პენალტი კი კაკალაძემ გააფუჭა, პირდაპირ ხელებში მისცა ფედაროვიჩს. ვერც ამაში ვაჯობეთ სტუმრებს. ბაქრაძის მიერ საჯარიმოში უწესოდ თამაშისთვის დანიშნული პენალტი ბაჰამ ზუსტად შეასრულა. ეს მატჩის 25-ე წუტზე მოხდა და გულშემატკივარს იმედი გაუჩნდა, ახლა მაინც იზამენ რამეს ჩვენებიო, მაგრამ გაგონილა? ბელორუს მეკარეს, იმ ორ შემთხვევას თუ არ ჩავთვლით, არანაირი საქმე არ ჰქონია. ის კი არადა, ქუთაისელებმა ნორმალურად კუთხურიც კი ვერ ჩააწოდეს, მხოლოდ ერთი ბურთი ასწიეს მაღლა, დანარჩენი დაბლა გაშვებულები კი მცველებმა მოიგერიეს.

შეგირდთა წვალების შემხედვარე ოთარ გაბელიამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სამი ცვლილება განახორციელა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ბელორუსთა შეტევები მატჩის მიწურულს კიდევ უფრო სახიფათო გახდა. ხან ლებედევი იყო მიზანთან ახლოს, ხან შეცვლაზე შემოსული ვიშნიაკოვი.

"ბუნებრივია სასიამოვნოა, რომ გავიმარჯვეთ, მაგრამ უკმაყოფილო ვარ იმით, რომ ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, რაც შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. "ტორპედო" არაა ის გუნდი, რომელთანაც მოშვება შეიძლება. დღეს თქვენებს თამაში არ გამოუვიდათ, მაგრამ ბელორუსში შეიძლება ყველაფერი სხვაგვარად იყოს, ამიტომაც უნდა გამოგვეყენებინა მომენტები თავი უსაფრთხოდ რომ გვეგრძნო", - განაცხადა "ბატეს" მთავარმა მწვრთნელმა.

გუშინვე თბილისის "ლოკომოტივმა" სტუმრად 3:2 დაამარცხა ერევნის "ბანანცი".

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა სამედიცინო მომსახურება.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 1 აგვისტოდან 2 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

***პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში***, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში ***(საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად).***

***პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:***

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

11. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 3 აგვისტოდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

12. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე, ქეთევან ხარაძე ტ. 694871, 696590, მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: Procurement-Ge@yahoo.com .

*სატენდერო კომისია*

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ხელახალ, ღია ტენდერს მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა განბაჟების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ცენტრალიზებულად შეძენილი სამკურნალო საშუალებების (მათ შორის საკვები დანამატის), მიღება-შენახვა-გაცემის ორგანიზაციულ ტექნიკური საკითხების უზრუნველყოფა.

3. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების დადების დღიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 1 აგვისტოდან 2 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან (თბილისში მდებარე ორგანიზაციებისათვის) ან სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში მდებარე ორგანიზაციებისათვის);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია შესაბამისი საქმიანობის შესახებ;

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 3-4 აგვისტოს, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

10. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს (პრედენდენტად დამტკიცების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ) შეეძლებათ 2005 წლის 8 აგვისტოდან 9 აგვისტოს 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

12. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტ. 694871, 696590, მაკა ჩაჩანიძე ტ. 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: procurement-ge@yahoo.com .

*სატენდერო კომისია*

# „ჰარი პოტერის" ცხელი წერტილები

"ჰარი პოტერის" მეექვსე წიგნის მსოფლიო პრეზენტაციამდე ზუსტად ერთი დღე რჩება. 16 ივლისს, შუაღამის დადგომამდე ერთი წუთით ადრე, საპრეზენტაციო მხიარულება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაიწყება. მართალია, ტერაქტებმა და ტრაგედიებმა სიტუაცია არია, მაგრამ როულინგის ნაწარმოების თაყვანისმცემლები მაინც მოუთმენლად ელიან დაპირებულ დღეს.

რამდენიმე ცვლილებაა საერთო განრიგში. ლონდონელები პრეზენტაციას კინგს ქროსის სადგურზე ვეღარ გამართავენ. მაღაზია WH Smith-ის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, წიგნებს სამხრეთ-დასავლეთ ლონდონში, ერთ-ერთ მაღაზიაში გაყიდიან. საშინელი ტერაქტი ხომ პიკადილის ხაზზე სწორედ მაშინ მოხდა, როცა მატარებელი კინგს ქროსსა და რასელ სქვერის მონაკვეთს გადიოდა. "რადგან კინგს ქროსის სადგური საშინელი დანაშაულის სცენად იქცა, მიგვაჩნია, რომ ჩვენი მხრიდან გულგრილობა იქნებოდა მხიარული საღამოს იქ მოწყობა", - განაცხადა WH Smith-ის წარმომადგენელმა სარა ჰადსონმა.

არადა, კინგს ქროსის სადგური "ჰარი პოტერის" წიგნებში ერთ-ერთი მთავარი ადგილია. იქიდან მეცხრე პლატფორმის -იდან ჰოგვორტსის ჯადოქრობის სკოლისკენ გადის მატარებელი. იქვე გაიმართა როულინგის მეხუთე წიგნის პრეზენტაციაც შარშან, რომელსაც 500-მდე ლონდონელი დაესწრო. წელს მათ "ჰარი პოტერი და ნახევარპრინცის" ყიდვა სულ სხვაგან მოუწევთ.

განსაკუთრებით პომპეზურ პრეზენტაციას გეგმავს წიგნის მაღაზიათა პოპულარული ქსელი "უოთერსთოუნიც". მაღაზიის წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ შუაღამისას დაგეგმილ ცერემონიალზე მათ კართან 3 ათასამდე ადამიანი მოიყრის თავს.

■ ■ ■

ეს მოხდება ერთ დღეში, ლონდონში. ამასობაში კი მოვლენები საინტერესოდ ვითარდება ნიუ იორკშიც. ცხრა წლის ბიჭუნამ, რომელმაც შემთხვევით "ჰარი პოტერის" ახალი ტომი პრეზენტაციამდე რამდენიმე დღით ადრე იყიდა, წიგნი ისევ მაღაზიას დაუბრუნა.

პატარა სილუმ მასტროპაოლოს სულ რამდენიმე ფურცელი ჰქონდა წაკითხული, რომ მშობლებმა წიგნი გამოართვეს და ისევ მაღაზიაში წაიღეს. "გვინდა, სამართლიანად მოვიქცეთ. არ გვინდა, სიურპრიზის განცდა დანარჩენ ბავშვებს დავურღვიოთ და წავართვათ იმის უფლება, რომ ყველამ ერთდროულად წაიკითხოს საყვარელი წიგნი", - განაცხადა სილუმის მამინაცვალმა მაიკ მალდუნმა. მაღაზიის წარმომადგენლებმა კი თავი იმართლეს, წიგნი ვიტრინაში სრულიად შემთხვევით გამოვფინეთ, შეცდომით გავყიდეთ და დაახლოებით ერთ საათში ყველა ეგზემპლარი უკან, საცავებში დავაბრუნეთო. გამომცემლობა "სქოლასტიკი" კი გამყიდველების უყურადღებობის გამო დაზარალებულ ბავშვს ჰარი პოტერის სუვენირებს დაჰპირდა. ირკვევა, რომ 9 წლის ნიუიორკელი ბიჭი ერთადერთია, რომელმაც წიგნი ნაადრევად იხილა.

■ ■ ■

პარალელურად, "ჰარი პოტერის" თაყვანისმცემლებისთვის ცხელი წერტილი გამოდგა რომიც. გავრცელდა ახლანდელი პაპის ბენედიქტ მეთექვსმეტის წერილი, რომელშიც ის ამბობს, რომ "ჰარი პოტერის" წიგნი "საშინლად ამახინჯებს ქრისტიანულ ტრადიციებს".

ეს წერილი ბენედიქტ მეთექვსმეტემ კარდინალობის დროს დაწერა და უპასუხა მწერალ გაბრიელე კუბის მოთხოვნას, რომელიც იმხანად მუშაობდა კვლევაზე "ჰარი პოტერი – კეთილი თუ ბოროტი?"

პაპი გაბრიელეს პასუხად წერდა: "კარგია, რომ გადაწყვიტეთ, ნათელი მოჰფინოთ "ჰარი პოტერის" თემას, რადგან ამ წიგნში მრავლადაა მძაფრი, მაგრამ შეფარული ცდუნებები, რომლებიც საშინლად ამახინჯებენ ქრისტიანობის გაგებას ადამიანის სულში, სანამ ეს რწმენა ჯანსაღ ფორმებს შეიძენდეს".

გაბრიელესადმი მიწერილ მეორე წერილში ბენედიქტ მეთექვსმეტე პირობას დებდა, რომ თავის აზრს საჯაროდაც მალე გამოთქვამდა. ეს წერილები თარგმნა და გამოაქვეყნა ვებ-საიტმა lifesite.net, რომელიც საკუთარ თავს იუდეო-ქრისტიანულ, აბორტის წინააღმდეგ მიმართულ და საინფორმაციო ვებ-გვერდს უწოდებს.

■ ■ ■

ახლა კი ცოტაოდენი ციფრები და ფინანსები. "ჰარი პოტერის" უკან ორი მსხვილი საგამომცემლო სახლი ბრიტანული "ბლუმსბერი" და ამერიკული "სქოლასთიქი" დგანან. ისინი როულინგის ნაწარმოების წყალობით, როგორც წესი, უდიდესი მოგებით ამთავრებენ ხოლმე საქმეს. ახლაც ასეა. წინასწარი შეკვეთების რიცხვი რეკორდულია. ონლაინ სავაჭრო ცენტრ "ამაზონ.ქომს" უკვე აქვს 1.4 მილიონი შეკვეთა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. დიდ ციფრებს ასახელებენ წიგნის მაღაზიებიც. დიდი ქსელები "უოლ-მარტი" და "ტესკო" 40-50 პროცენტით აგდებენ ფასებს წინასწარ შეკვეთებზე, რათა მაღაზიებში უფრო ადამიანი შეიტყუონ. "გვჯერა, რომ წინასწარი გაყიდვების მაჩვენებელი ჩვენს 220-წლიან ისტორიაში უდიდესი იქნება", – აცხადებს ზემოთ ხსენებული ბრიტანული ქსელის WH Smith-ის წარმომადგენელი.

ასე რომ, ფაქტია, ჰოლივუდის ბლოკბასტერი ფილმებისთვის გამოყვანილი ფორმულა ამართლებს – პირველი ეფექტი მუდამ ყველაზე შთამბეჭდავია. ასე იყო წინა წლებშიც. "ჰარი პოტერი და ფენიქსის ორდენის" გამოსვლის პირველ დღეს გამომცემლობა "სქოლასტიკმა" 5 მილიონი ეგზემპლარი გაყიდა, "ბლუმსბერიმ" – 1.8 მილიონი. ზემოთ ხსენებული "უოთერსთოუნის" წარმომადგენლები კი ვარაუდობენ, რომ "ჰარი პოტერის" მეექვსე წიგნის გამოსვლიდან 24 საათის განმავლობაში ბრიტანეთში 2 მილიონი ეგზემპლარი იქნება გაყიდული, მსოფლიოს მასშტაბით კი – 10 მილიონი.

■ ■ ■

დაბოლოს, თავად ავტორის შესახებ. როგორც მკვლევარები ამტკიცებენ, როულინგმა მთელი საგამომცემლო ინდუსტრია გარდაქმნა და ახალი ტენდენციები დაამკვიდრა. გარდა იმისა, რომ ის ბოლო რვა წლის განმავლობაში №1 ბესტსელერ ავტორად იქცა ბრიტანეთში, როულინგმა გაზარდა საბავშვო წიგნების მაჩვენებელიც წიგნის ბაზარზე.

როულინგმა კიდევ ერთი აღმოჩენაც გააკეთებინა გამომცემლებს. სწორედ "ჰარი პოტერის" გამოჩენის შემდეგ გაიაზრეს წიგნის ბაზარზე, რომ აუცილებელია ე.წ. გარდამავალი წიგნების წერა და გაყიდვა, რომლებიც თანაბრად დააინტერესებს ბავშვებსაც და დიდებსაც. "როულინგმა გონება გაუნათა რედაქტორებს. გამომცემლები ახლა სპეციფიკურად საბავშვო წიგნებს კი აღარ დაეძებენ, არამედ საუკეთესო ამბავსა და სიუჟეტს აფასებენ", - დაასკვნის ამერიკელი გამომცემლების ასოციაციის სავაჭრო ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორი.

მოკლედ, შაბათამდე.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ.N10, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს ენერგეტიკული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოთა შესასრულებლად ლოტების მიხეედვით:

ლოტი I (ელ. მექანიკური)

ვარციხეჰესების კასკადის N1 და N6 ჰიდროაგრეგატების კაპიტალური შეკეთება

ვარციხეჰესების სეგმენტური ფარის ჰიდროამძრავის კაპიტალური შეკეთება (ორი ერთეული)

ვარციხეჰესების კასკადის N1 ჰესის 80 მვა ტრანსფორმატორის კაპიტალური შეკეთება

ლოტი II (სამშენებლო)

- ვარციხეჰესების კასკადზე ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება მდ. რიონისა და ჰესების სადერევაციო არხის გამყოფ მონაკვეთზე;
- გუმათჰესების კასკადის წყალმიმღების კაპიტალური შეკეთება;
- ლაჯანურჰესის ქვედა ბიეფის გამოსასვლელი არხის და რიონის გამყოფი კედლის აღდგენა

ცხენისწყლის I ძირითადი ფარის ფუნდამენტის აღდგენა

ცხენისწყლის კაშხლის ზედა ბიეფის მარჯვენა კედლის აღდგენა

ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მშენებლობა

ლოტი III

ვარციხეჰესების კასკადში 40000 (ორმოციათასი) ლიტრი ტურბინის ზეთის მიწოდება

ვარციხეჰესების კასკადში 20000 (ოციათასი) ლიტრი ტრანსფორმატორის ზეთის მიწოდება.\

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ტენდერში დასაშვებია მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა დახურულ კონვერტში ლოტების მიხედვით. ალტერნატიული წინადადებების მიღება გათვალისწინებული არ არის.

2. სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა 2005 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, მიწოდების ადგილი - დანიშნულების ადგილი.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე ან ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული სახით უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 30 ივლისიდან 2 აგვისტოს 17.00. სთ-მდე ზემოხსენებულ მისამართზე, სამინისტროს კანცელარიაში - მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატში ქ-6 ი. მშვიდობაძესთან.

- სხვა ინფორმაციას, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული რეზიდენტი იურიდიული პირისათვის:

ა) რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რებილიტაციის საქმე;

ე) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესახებ (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

3.2. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის:

ა) შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან ცნობას რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) რაიონული სასამართლოდან ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესახებ (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

3.3. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ ზემოხსენებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან.

3.4 იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის:

ცნობა არანაკლებ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების შესრულების მოცულობის შესახებ; მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს დამკვეთი იურიდიული თუ ფიზიკური პირების მიერ.

4. ტენდერში მონაწილის მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო-სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია და შესაბამისი დანართი (ჩამონათვალი) საქართველოს სათანადო უწყებიდან.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო მოსაკრებლის სპეციალურ სალარე ანგარიშზე: ბანკის კოდი 220101107 ა/ა. 000141408 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005 წლის 4 აგვისტოს 17 სთ.-მდე მისამართზე: ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატი.

7. სატენდერო კომისიაში დასაშვებია ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა, ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა ტენდერში გათვალისწინებული არ არის.

8. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შესაძლოა ითვალისწინებდეს წინასწარ ანგარიშსწორებას., ამ შემთხვევაში მან უნდა წარადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია, როგორც ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალება სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობების დაცვით.

9. დასაშვებია პრეტენდენტმა (გამარჯვებულმა) სატენდერო დოკუმენტაციაში (ხელშეკრულებაში) განსაზღვრული მისი ვალდებულებების დაკისრება ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე დაავალოს სუბკონტრაქტორს, რომელიც აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ზემოხსენებული მე-5 მუხლის მოთხოვნებს და სატენდერო დოკუმენტაციის საერთო პირობების მოთხოვნების დაცვით დადგენილი წესით, ეს უნდა შეთანხმდეს სატენდერო კომისიასთან.

| შეფასების კრიტერიუმები | პრიორიტეტულობის კოეფიციენტები |
|---|---|
| სატენდერო წინადადების ფასი | 0.40 |
| უკანასკნელი (არანალებ) სამი წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების მოცულობა - კვალიფიკაცია | 0.20 |
| მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მოწყობილობა-დანადგარების სახე, აღწერილობა, მოდელი და ასაკი, საკუთარი ან იჯარით აღებული) | 0.15 |
| სამუშაოს შესრულების ვადები | 0.10 |
| ექსპლუატაციის შემდგომი საგარანტიო მომსახურების პირობები ( ვადა, და ა.შ.) | 0.09 |
| ანგარიშსწორების ფორმები და პირობები | 0.06 |
| | **სულ 1.0** |

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: იზოლდა მშვიდაობაძე. მისამართზე: ქ. თბილისი, ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატი. მე-4 სართულიტელ: 99 60 98.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია

# ქ. ბათუმში, პუშკინის ქ. N35-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის 2140 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განკარგვის (საკუთრებაში გაცემის) საკონკურსო პირობები

**შესავალი**

ქალაქ ბათუმის ინფრასტრუქტურის განვითარებაში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისა და მოქალაქეთა სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქ. ბათუმის მთა-ვრობის 2005 წლის 12 ივლისის N130 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონკურსს პუშკინის ქ. N35-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის 2140 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ქალაქის მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება და ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

მიწის ნაკვეთის მისამართი: პუშკინის ქ. N35;

მიწის ნაკვეთის გაცემის ფორმა: კონკურსი;

მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: საკუთრება;

მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 2140 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე 10,80 ლარი, სულ 23112 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები**

კონკურსის ძირითადი პირობაა პრეტენდენტთა მიერ საკონკურსო მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის საერთო ფართის ნაწილის ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდისათვის გადაცემის ვალდებულება.

სხვა პირობები:

მიწის ნაკვეთის გასაყიდი ფასი ყველა მონაწილისათვის ფიქსირებულია და შეადგენს ცენტრალური ზონის მეორე ქვეზონისათვის დადგენილ მინიმუმს ანუ 23112 ლარს;

მიწის ნაკვეთის მოშენების ფართი არ უნდა იყოს საკონკურსო ნაკვეთის 50%-ზე ანუ 1070 კვ.მ-ზე მეტი;

სართულიანობა დასაშვებია განისაზღვროს პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საპროექტო გადაწყვეტის შესაბამისად;

ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდისათვის გადასაცემი ფართის ოდენობამ უნდა შეადგინოს საკონკურსო ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობის საერთო ფართის მინიმუმ 15%, ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2005 წლის 21 იანვრის N6-1 გადაწყვეტილების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ 1500 კვადრატული მეტრისა.

ვადა კონკურსის შედეგების შეჯამებიდან შენობის ექსპლუატაციაში გადასაცემად მზადყოფნამდე არ უნდა აჭარბებდეს 30 თვეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდისათვის გადასაცემი ბინები იყოს "გასაღების ქვეშ" მზადყოფნის მდგომარეობაში.

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განსათავსებელი ობიექტის შესახებ. საპროექტო წინადადება აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმალური მოცულობით (ესკიზის სახით) და უნდა იძლეოდეს წარმოდგენას შენობის ძირითადი გეგმარებითი, მოცულობითი და ტექნიკურ-ეკონომიური მახასიათებლების შესახებ.

Pპრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან.

გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მიწის ნაკვეთის შესყიდვის ფასის სრული დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს. მიწის საკუთრებაში რეგისტრაციის შემდეგ იგი გაიცემა გირაოში ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის სასარგებლოდ, აღებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე"-ს სახით, მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს აუცილებლი საწყისი შენატანი მიწის ნაკვეთის ღირებულების 10%-ის ოდენობით ანუ 2311 ლარი. კონკურსში დამარცხებულს (დამარცხებულებს) მითითებული თანხა დაუბრუნდება კანონით დადგენილ ვადაში.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი საცხოვრებელი სახლის საერთო ფართიდან ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო ფონდისათვის კონკურსში მონაწილეთა მხრიდან მეტი ოდენობის ფართის შემოთავაზება, რომელიც არ უნდა იყოს ქალაქის საკრებულოს მიერ შუალედური ზონისათვის დადგენილ 15%-ზე ნაკლები.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის საპროექტო) ცალკე დალუქული სახით;

გ) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ფინანსური გარანტია საბანკო ან სადაზღვევო კომპანიისაგან.

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტუ-რებელი დოკუმენტი;

ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ვ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტედენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ზ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრე-ბის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრედენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური. რუსთავე-ლის ქ.N6. ტელ: 7-26-45.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2005 წლის 19 აგვისტოს, 17 სთ-ზე.

კომისიის სხდომაზე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დალუქული პაკეტების გახსნა და საჯარო განხილვა მოხდება 2005 წლის 23 აგვისტოს, 15 სთ-ზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:

აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102

მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.

საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.

ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# განუყრელი დღესასწაული

*საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით "24 საათს" ესაუბრება საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ფილიპ ლეფორი.*

**- ბ-ნ ლეფორ, ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისთვის რომელი მიმართულებანი მიგაჩნიათ პრიორიტეტულად და რა სამუშაოებს აწარმოებს საფრანგეთის საელჩო საქართველოში მათ განსახორციელებლად?**

- მე კარგად მესმის თქვენი კითხვის შინაარსი. ეს ეხება საფრანგეთ-საქართველოს ურთიერთობების ორიენტაციას და იმას, თუ რა როლს ასრულებს საფრანგეთის საელჩო ამ ურთიერთობებში. ჩვენი სახელმწიფოს და აქედან გამომდინარე, საელჩოს ორიენტაცია, ეს არის საქართველოს მხარდაჭერა დემოკრატიის, მოდერნიზაციისა და ევროპასთან მიახლოების საკითხებში. პროცესში, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ და მთავრობამ წამოიწყო. ამ შემთხვევაში საფრანგეთის სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი გახლავთ ის, რომ უფრო გააღრმაოს და ინტენსიური გახადოს ეს მიმართულება რაც შეიძლება ეფექტური შედეგის მისაღებად. ეს რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობებს დაკავშირებულს პარლამენტთან, მთავრობასთან თუ სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტთან. მეორე მხრივ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ის მიმართულებები, რომლებშიც, როგორც საფრანგეთი მიიჩნევს, განსაკუთრებით შეუძლია დახმარება გაუწიოს საქართველოს. მაგალითად, ჩვენ უკვე დიდი ხანია ნაყოფიერად ვმოღვაწეობთ საუნივერსიტეტო, საგანმანათლებლო და კულტურულ სფეროებში. ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფოსთვის როგორც ახლა, ისე მომავალში. ასევე ერთობლივად ვმუშაობთ სამხედრო პრობლემებზე. კერძოდ, სამთომსროლელი ბრიგადის ჩამოყალიბებასა და შემდგომ უკვე გამოცდილების გაზიარებაში. ჩვენ ამ ყველაფერს ვახორციელებთ, ბუნებრივია, ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე, რაც ჩვენი საერთო მიზნების წარმატების კიდევ ერთი გარანტია. ვაპირებთ დიდი ფრანგული ლიცეუმის მშენებლობას. ეს ის პროექტია, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდება და უკვე არსებული ფრანგული სკოლების ხელშეწყობით დაარსდება.

**- საქართველო ევროპასთან ინტეგრაციას ესწრაფვის. თქვენი აზრით, ამ პროცესის დასაჩქარებლად პირველ რიგში რა უნდა მოიმოქმედოს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ?**

- რაც შეეხება ევროკავშირში გაერთიანებას, მე ვფიქრობ, რომ კარგი იქნებოდა აღმოსავლეთ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. იმ ეტაპების მნიშვნელობის გაცნობიერება და იმ ბარიერების გადალახვა, რაც მათ უკვე განვლეს. რადგან თვითონ მთავარი ჯილდო - ეს ინტეგრირებისკენ სწრაფვის პროცესია. ამისთვის კი, უმთავრესი თავად ქვეყნის შინაგანი მზაობაა, რაც გარკვეული შრომისა და გამოცდილების შედეგად მიიღწევა. ისტორიამ თავადაც არაერთხელ დაადასტურა, რომ რაც უფრო მეტს ითვისებ ევროგაერთიანების მემკვიდრეობიდან და მისი ისტორიიდან, მით უფრო ხელი ეწყობა ქვეყნის განვითარებას.

**- აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საფრანგეთის საელჩო საქართველოში მაღალი აქტიურობით გამოირჩევა, განსაკუთრებით კულტურული ღონისძიებების მოწყობაში. ეს ფრანგული დიპლომატიის ნიშანდობლივი შტრიხია თუ საელჩოს პირველი პირის ხასიათიდან გამომდინარეობს?**

- ფრანგულ დიპლომატიაში კულტურული ურთიერთობების უდიდესი ტრადიცია არსებობს. ის მისი განუყოფელი ნაწილია და ცალკეულ დანამატად არასდროს მოიაზრება. ასეთი გახლავთ ფრანგული პოლიტიკა - გავლენა მოიპოვო არა ტერიტორიული ან მილიტარული თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ კულტურათა ჭეშმარიტი დიალოგის გზით. ჩვენ ყოველთვის ამის ინიციატორები ვართ. არსი მდგომარეობს იმაში, რომ დავაფასოთ თვალსაჩინო და ცხადი გავხადოთ ჩვენი სურვილები და იდეები, წამოვიწყოთ ეს დიალოგი იმ თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, რომელიც ასევე დემოკრატიულ ფასეულობებზე იქნება აგებული. არა აქვს მნიშვნელობა, ეს რა კულტურაა: ძველი, ახალი თუ მოკრძალებული, ჩვენ სწორედ მის მრავალფეროვნებაში შეგვიძლია მოვიძიოთ ფრანკოფონიის ფესვები, რომელიც ნამდვილად ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელია. აქვე მინდა ისიც დავამატო, რომ კულტურის სფერო ჩემი, როგორც ელჩისა და როგორც პიროვნების დიდი ინტერესის საგანია. მე ვფიქრობ, რომ ისეთ ორ უძველეს ერს შორის, როგორც ქართველები და ფრანგები არიან, არსებობს მეტად ღრმა კავშირები, რაც მათი ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულების საფუძველს გვაძლევს.

**- ბატონო ლეფორ, დიპლომატიური მისიით თქვენ ბევრ ქვეყანაში ყოფილხართ. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის საქართველოში მოღვაწეობა?**

- აქ მოვლინება ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეტაპად მიმაჩნია, რადგან მთელი კარიერის მანძილზე პირველად გახლავართ ელჩის რანგში, რაც ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. ვფიქრობ, რომ მაშინაც კი, როდესაც ჩემი მისია ამოიწურება, ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება მექნება საქართველოსადმი. მართლაც, როგორ შეიძლება გულგრილი იყო იმ ერისა და ქვეყნის მიმართ, სადაც ადამიანები ასეთი გულღია, უშუალო და კეთილგანწყობილნი არიან, მაშინაც კი, როდესაც მათ არაფერი იციან ჩემი პიროვნებისა და თანამდებობის შესახებ. ჩემში აღფრთოვანებას იწვევს ყველა ის ტრადიცია, რაც ქართველ ხალხს ოჯახთან, თავის კუთხესთან და ქვეყანასთან მიმართებაში აქვთ. ეს გახლავთ ის ურყევი ღირებულებები, რაც, ჩემი აზრით, არასდროს არ უნდა დაკარგოს არც ერთმა ერმა და რაც ქართული ბუნებისა და ხასიათის ურყევი საძირკველია. ეს გახლავთ ის ღირსებები, რაც უცხო თვალისთვის ადვილად შესამჩნევი და გარკვეულწილად ამაღელვებელია. ამ თემაზე დაუსრულებლად შემიძლია საუბარი... იქნებ ამიტომაცაა, რომ ჩემს არც ერთ წინამორბედს არ დავიწყებია და მუდამ ახსოვს საქართველო.

**- წელს 14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს, დაემთხვა ქართველი ერისთვისაც ღირსშესანიშნავი და, შეიძლება ითქვას, უნიკალური მოვლენა.**

- ეს გახლავთ საპატიო ლეგიონის ორდენი, ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო, რომელიც თვით ნაპოლეონმა დააწესა. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია პირადად ჩემთვის და ვამაყობ, რომ ეს იშვიათი მოვლენა სწორედ ჩემი ელჩობის პერიოდში მოხდა, პატივი მხვდა წილად, ეს ორდენი ქართველისთვის გადამეცა. ეს გახლავთ ბატონი ვახტანგ სეხნიაშვილი, 83 წლის, რომელსაც ნამდვილი ქართული ლაღი ბუნების წყალობით ასაკმა ვერაფერი დააკლო. ჯან-ღონით სავსე და საოცრად განათლებული ადამიანია. როგორც ყველა ნამდვილ კახელს, უყვარს ღვინო და შამპანურიც. მან მეორე მსოფლიო ომის დროს დააარსა ქართველი პარტიზანების ბატალიონი, რომელიც ფრანგული წინააღმდეგობის ფრონტში შედიოდა. მისი მეშვეობით გათავისუფლდა სამხრეთით მდებარე რამდენიმე ქალაქი. ამ პიროვნების ცხოვრების შესახებ რომანის დაწერა შეიძლება. მე მას გმირს ვუწოდებდი. ძალიან საინტერესო და აღტაცების მომგვრელია ის შეფასებები, რასაც ფრანგი გენერლები აძლევდნენ როგორც მეომარსა და სტრატეგს და თუნდაც როგორც უბრალოდ პიროვნებას. ამ ყველაფრის მიუხედავად, ის ძალიან უშუალო და თავმდაბალ ადამიანად დარჩა. ამჟამად ცხოვრობს თელავში, გახლავთ საქართველოს მოქალაქე. რა თქმა უნდა, მას შეეძლო მიეღო საფრანგეთის მოქალაქეობა, მაგრამ არ ისურვა. მე ვფიქრობ, რომ ის როგორც საქართველოს, ისე საფრანგეთის ნამდვილი პატრიოტია. მიხარია, რომ ეს დღე, 14 ივლისი, რომელიც ყოველი ფრანგისთვის ძვირფასი დღესასწაულია, წელს ქართველებისთვისაც მეტად ახლობელი გახდება. ეს კიდევ უფრო გააერთიანებს და განამტკიცებს საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობას.

# საპატიო ლეგიონის პირველი ქართველი კავალერი

## ვახტანგ სეხნიაშვილი - "მეთაურ ვანიას" ფსევდონიმით ცნობილი მკვირცხლი ოფიცერი

ხათუნა ბაზიევი

14 ივლისს, ბასტილიის აღების დღეს, რომელიც საფრანგეთის ეროვნულ დღედაა ცნობილი, რესპუბლიკის ხელისუფლების სახელით, საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფილიპ ლეფორმა მეორე მსოფლიო ომის მონაწილეს, საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანს ვახტანგ სეხნიაშვილს, ფრანგ პარტიზანებთან ერთად საფრანგეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში მონაწილეობისათვის საპატიო ლეგიონის ეროვნული ორდენი გადასცა.

**"საბრძოლო რაზმის წინ დაჯილდოებისას, კორპუსის გენერალი კოენინგი თქვენ გახასიათებდათ, როგორც "სიმკვირცხლით სავსე ოფიცერს, რომელმაც ქალაქ კარმოსათვის ბრძოლაში გამოიჩინა თავი" და "უდიდესი სიმამაცე აჩვენა ჟუკევიელისა და სენ-სიურ-პრისის შეტაკებებში." მრავალი განსაცდელის მიუხედავად, თქვენ შეძელით, თქვენი პირველი და მეორე სამშობლოს, საქართველოსა და საფრანგეთის ერთგული დარჩენილიყავით. აი, ამის დაფასება მოისურვა ჩემი ქვეყნის მთავრობამ 60 წლის შემდეგ იმ კოლექტიური კატასტროფიდან, რომელსაც მეორე მსოფლიო ომი ჰქვია. თქვენი მამაცობით, თავგანწირვითა და თავდადებით, ყველა კონტინენტის მამაც ადამიანებთან ერთად, საფუძველი ჩაუყარეთ შერიგებულ, თავისუფალ და სოლიდარულ ევროპას, რომელსაც დღეს ვიცნობთ. თქვენ დიდი დამსახურება მიგიძღვით როგორც საფრანგეთის, ისე ევროპის წინაშე,"** - აღნიშნა საფრანგეთის ელჩმა მისასალმებელ სიტყვაში.



ფილიპ ლეფორმა ვახტანგ სეხნიაშვილს საპატიო ლეგიონის ორდენი გადასცა.

დაჯილდოების ცერემონიას საქართველოში გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უვე შრამი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერი გელა ჩარკვიანი და ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ფადი ასლი ესწრებოდნენ სხვა მიწვეულ სტუმრებთან ერთად.

საპატიო ლეგიონის შევალიეს ორდენამდე კი სეხნიაშვილს უკვე მინიჭებული ჰქონდა ოთხი ფრანგული მედალი: ომის ჯვარი, რომელიც მას გენერალმა კოენინგმა გადასცა 1945 წლის 7 ივლისს, პარტიზანების მედალი, მოხალისე მებრძოლის ჯვარი და ერის მადლიერების მედალი.

ყველაფერი კი 1942 წელს, უკრაინის ფრონტზე ტყვედ ჩავარდნის შემდეგ დაიწყო, როდესაც ვახტანგ სეხნიაშვილი სამხრეთ საფრანგეთში მოხვდა, სადაც საბჭოთა ტყვეებს მაღაროებში ამუშავებდნენ. სეხნიაშვილმა მალევე მოახერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა და პოლონელი, ასევე გაქცეული ჯარისკაცების მეშვეობით წინააღმდეგობის მოძრაობას დაუკავშირდა. ამას მოჰყვა მუშათა და იმიგრანტთა პარტიზანულ მოძრაობასთან შეერთება, ხოლო 1944 წლის 4 აგვისტოს ღამეს 161 ქართველი ტყვის გასათავისუფლებლად ჩატარებულ ოპერაციას უშუალოდ სეხნიაშვილი ხელმძღვანელობდა.

თუმცა, უმთავრესი ბრძოლა, რის გამოც ვახტანგ სეხნიაშვილს ნაპოლეონ პირველის მიერ დაარსებული, ღირსების ლეგიონის უმაღლესი დონის ჯილდო მიენიჭა (რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ენიჭებათ ხოლმე უცხოელებს საფრანგეთისათვის გაწეული სამსახურისათვის), 1944 წლის 18 აგვისტოს მოხდა, ქალაქ კარმოს გათავისუფლებისათვის. შემდეგში უკვე, სეხნიაშვილი, როგორც ოცეულის მეთაური, კონიაკის, მონტობანისა და ტულუზის ბრძოლებშიც მონაწილეობდა, სადაც საბჭოთა პარტიზანების ბატალიონის მეთაური გახდა.

თუმცა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მრავალი სხვა თანამემამულის მსგავსად, ია-ვარდებით მოფენილი გზა ვახტანგ სეხნიაშვილს არც ომის დასრულების შემდეგ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ კარმოს გათავისუფლებისათვის ბრძოლის შემდეგ მას საფრანგეთის არმიის კაპიტნის წოდება მიანიჭეს, მეორე სამშობლოში სამხედრო კარიერის გაგრძელების ნაცვლად, სეხნიაშვილმა საქართველოში დაბრუნება არჩია, სადაც ჯერ გმირად გამოაცხადეს, ხოლო 1947 წლის პოლიტიკური წმენდის დროს, "იმპერიალიზმის აგენტების" სიაში მოხვდა და 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. საპყრობილეს თავი სეხნიაშვილმა მხოლოდ 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ დააღწია, როდესაც მისი საქმე გადაისინჯა.

ამჟამად, ვახტანგ სეხნიაშვილი თელავში ცხოვრობს და სანუკვარ ოცნებად კარმოს, ტარნისა და ტულუზის კიდევ ერთხელ მონახულება აქვს, ადგილებისა, სადაც მას, მეორე მსოფლიო ომის წლებში, "მეთაურ ვანიას" სახელით იცნობდნენ.

# საფრანგეთი

**მდებარეობა:**

დასავლეთ ევროპა. ესაზღვრება ბისკაის ყურესა და ინგლისის არხს, მდებარეობს ბელგიასა და ესპანეთს შორის, ბრიტანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვას, იტალიასა და ესპანეთს შორის.

**ფართობი:**

მთლიანი – 547.030 კვ.კმ.
ხმელეთი – 545.630 კვ.კმ.
წყალი – 1.400 კვ.კმ.

**სანაპირო ზოლი:** 3.427 კმ.

**უკიდურესი წერტილები:**
უკიდურესი დაბლობი – მდინარე რონას დელტა, 2 მ.
უკიდურესი მაღლობი – მონ ბლანი, 4.807 მ.

**გეოგრაფიული შენიშვნა:** ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი დასავლეთ ევროპაში

**მოსახლეობა:** 60.656.187 (2005 წლის ივლისის მონაცემი)

**მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი:** 0.37 პროცენტი (2005 წლის მონაცემი)

**ეთნიკური ჯგუფები:** კელტური, ლათინური, ბასკების, ჩრდილო აფრიკელების, ინდოჩინელების და სლავების უმცირესობებით.

**რელიგია:**
კათოლიკები 83-88 პროცენტი; პროტესტანტები 2 პროცენტი, მუსულმანები 5-10 პროცენტი, ებრაელები 1 პროცენტი.

**ენა:**
ფრანგული – 100 პროცენტი. მცირე დიალექტები თითქმის ქრება.

**მთავრობის ტიპი:** რესპუბლიკა.

**დედაქალაქი:** პარიზი

**ადმინისტრაციული დანაყოფები:** 22 რეგიონი

**დამოკიდებული ტერიტორიები:** ბასას და ინდია, კუნძული კლიპერტონი, კუნძული ევროპა, ფრანგული პოლინეზია, საფრანგეთის სამხრეთი და ანტარქტიკული მიწები, გამარჯვების კუნძულები, კუნძული ხუან დე ნოვა, ახალი კალედონია, კუნძული ტრომლინი, უოლისი და ფუტუნა.

**ეროვნული დღესასწაული:** ბასტილიის დღე, 14 ივლისი (1789 წ.)

**კონსტიტუცია:** 1958 წ. 28 სექტემბერი. ცვლილება შევიდა 1962 წელს პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით. შემდეგი ცვლილება შევიდა 1992 წელს ევროკავშირის მაასტრიხტის შეთანხმებით, 1996 წელს კი – ამსტერდამის შეთანხმებით, 2000 წელს – ნიცის შეთანხმებით. 1993 წელს ცვლილება შევიდა იმიგრაციის კანონის გამკაცრებასთან დაკავშირებით. 2000 წელს კი შვიდწლიანი საპრეზიდენტო ვადა ხუთწლიანით შეიცვალა.

**სრულწლოვანების ასაკი:** 18 წელი

**აღმასრულებელი შტო:**
სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი ჟაკ შირაკი
მთავრობის მეთაური – პრემიერ-მინისტრი დომინიკ დე ვილპენი
მინისტრთა კაბინეტი – მინისტრთა საბჭო, რომელსაც აკომპლექტებს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის მიერ შეთავაზებული კანდიდატურებისგან.

**საკანონმდებლო შტო:**
ორპალატიანი პარლამენტი – შედგება სენატისა და ნაციონალური ასამბლეისგან.

**სასამართლო შტო:** სააპელაციო უზენაესი სასამართლო, საკონსტიტუციო საბჭო და სახელმწიფო საბჭო.

**სიღარიბის ზღვარს მყოფი მოსახლეობა:** 6.5 პროცენტი (2000 წლის მონაცემი)

**შრომითი რესურსი:** 27.7 მილიონი (2004 წლის მონაცემი)

**უმუშევრობის მაჩვენებელი:** 10.1 პროცენტი (2004 წლის მონაცემი)

**ბიუჯეტი:**
შემოსავლები – 1.005 ტრილიონი დოლარი
დანახარჯები – 1.08 ტრილიონი დოლარი, აქედან სახელმწიფო ხარჯები – 23 მილიარდი დოლარი (2004 წლის მონაცემი).

**საექსპორტო ნაწარმი:** სამანქანო და სატრანსპორტო აღჭურვილობა, ავიაცია, პლასტიკატი, ქიმიური ნივთიერებები, ფარმაცევტული ნაწარმი, რკინა, სასმელი.

**პარტნიორი ქვეყნები ექსპორტში:** გერმანია – 15 პროცენტი, ესპანეთი – 9.4 პროცენტი, ბრიტანეთი – 9.3 პროცენტი, იტალია – 9 პროცენტი, ბელგია – 7.2 პროცენტი, აშშ – 6.4 პროცენტი (2004 წლის მონაცემი)

**საიმპორტო ნაწარმი:** ავტომანქანები, გადაუმუშავებელი ნავთობი, ავიაცია.

**პარტნიორი ქვეყნები იმპორტში:** გერმანია – 19.2 პროცენტი, ბელგია – 9.8 პროცენტი, იტალია – 8.8 პროცენტი, ესპანეთი – 7.3 პროცენტი, ბრიტანეთი – 7 პროცენტი, ჰოლანდია – 6.7 პროცენტი, აშშ – 5.1 პროცენტი.

**ვალუტა:** ევრო

**სატელეფონო ხაზები:** 33.905.400

**მობილური ტელეფონი:** 41.683.100

**სატელევიზიო სამაუწყებლო სადგურები:** 584

**ქვეყნის კოდი ინტერნეტში:** .fr

**ინტერნეტ-მომხმარებლები:** 21.9 მილიონი (2003 წლის მონაცემი)

**რკინიგზა:** 32.176 კმ.

**გზატკეცილი:** 893.100 კმ.

**პორტები:** ბორდო, ბულონი, შერბური, დიჟონი, დიუნკერკი, პალისი, ჰავრი, ლიონი, მარსელი, მალჰაუსი, ნანტი, პარიზი, რუანი, სენ ნაზერი, სენ მალო, სტრასბურგი.

**აეროპორტი:** 478 (2004 წლის მონაცემი).

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ხელახალ ღია, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი: ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობა, მ.შ. ონკოინკურაბელური პაციენტების პალიატიური მზრუნველობა ქ. თბილისში;

II ლოტი: ნეიროონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობა;

III ლოტი: მოზრდილთა ონკოჰემატოლოგია ქ. თბილისში;

IV ლოტი: ბავშვთა ონკოჰემატოლოგია ქ. თბილისში;

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 1 აგვისტოდან 2 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

***პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში***, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში ***(საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად).***

***პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას***:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს ტენდერში მონაწილეობა მიიღოს ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 3 აგვისტოს, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

16. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე, ქეთევან ხარაძე ტ. 694871, 696590, მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: Procurement-Ge@yahoo.com .

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია ტენდერს 2005 წლის მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტის მიხედვით მედიკამენტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

**I ლოტი:** ციკლოფოსფამიდი 200 მგ (ლიოფილური) - 8 000 ფლაკონი;

**II ლოტი:** დოქსორუბიცინი 10 მგ - 4 000 ფლაკონი;

**III ლოტი:** ვინკრისტინი 1 მგ - 400 ფლაკონი;

**IV ლოტი:** მიტომიცინი 10 მგ - 200 ფლაკონი;

**V ლოტი:** ბლეომიცინი 15 მგ - 300 ამპულა;

**VI ლოტი:** ეტოპოზიდი 100 მგ/5 მლ - 400 ამპულა;

**VII ლოტი:** დაკარბაზინი 200 მგ - 300 ფლაკონი;

**VIII ლოტი:** ცისპლატინა 50 მგ - 200 ფლაკონი;

**IX ლოტი:** კარბოპლატინა 150 მგ - 160 ფლაკონი;

**X ლოტი:** კარბოპლატინა 450 მგ - 100 ფლაკონი;

**XI ლოტი:** მიტოქსანტრონი 20 მგ - 160 ფლაკონი;

**XII ლოტი:** ვინორელბინი 10 მგ - 100 ფლაკონი;

**XIII ლოტი:** ტემოზოლამიდი 100 მგ კაპსულა - 40 კაფსულა;

**XIV ლოტი:** ტემოზოლამიდი 250 მგ კაპსულა - 25 კაპსულა;

**XV ლოტი:** ციტარაბინი 100 მგ - 1 000 ფლაკონი;

**XVI ლოტი:** პაკლიტაქსელი 30 მგ - 144 ფლაკონი

**XVII ლოტი:** კაპეციტაბინი 500 მგ ტაბლეტი - 1 920 ტაბლეტი;

**XVIII ლოტი:** ტროპისეტრონი 5 მლ - 2 400 ფლაკონი;

**XIX ლოტი:** პამიდრონატი 30 მგ - 300 ფლაკონი;

**XX ლოტი:** ფილგრასტიმი 300 მკგ - 20 ფლაკონი;

**XXI ლოტი:** ერითროპოეტინი 2 000 ერთ/ფლაკ - 20 ფლაკონი;

**XXII ლოტი:** ტამოქსიფენი 20 მგ ტაბლეტი - 48 000 ტაბლეტი;

**XXIII ლოტი:** ტორემიფენი 60 მგ ტაბლეტი - 1 600 ტაბლეტი;

**XXIV ლოტი:** გოსერელინი 3,6 მგ შპრიცი - 12 ცალი.

3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა 2005 წლის 1 სექტემბრიდან 2005 წლის 1 დეკემბრამდე. მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, პირობით: **DDP**, ქ. თბილისი, ლისის ტბა, 0117, ს/ს "ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ეროვნული ცენტრი".

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 1 აგვისტოდან 2 აგვისტოს 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს ან შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან (თბილისში მდებარე ორგანიზაციებისათვის) ან სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში მდებარე ორგანიზაციებისათვის);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) სამკურნალო საშუალების საქართველოში რეგისტრაციის მოწმობა;

ბ) ლიცენზია ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ;

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 3-4 აგვისტოს, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

10. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს (პრედენდენტად დამტკიცების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ) შეეძლებათ 2005 წლის 8 აგვისტოდან 9 აგვისტოს 18 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

11. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ როგორც ძირითადი, ისე ალტერნატიული სატენდერო წინადადება (წინადადებები) თითოეულ ლოტზე ცალცალკე.

12. ტენდერის თითოეულ ლოტში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; ტელ.: E-mail: **Procurement-ge@yahoo.com**.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ხელახალ ღია, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფთიზიატრიული დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: DOTS - სოციალური მეურვეობის სამსახური ქ. თბილისში.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 1 აგვისტოდან 2 აგვისტოს 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე და საკვალიფიკაციო მონაცემები წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილე პირის დასახელება;

გ) მომსახურების აღწერილობა, გასაწევი მომსახურების ვადები და შედეგები;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) პროგრამის მიხედვით მოსამსახურებელ პაციენტთა შესაძლო მაქსიმალური რაოდენობა.

თ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 3 აგვისტოს, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე, ქეთევან ხარაძე, თინათინ ხეჩინაშვილი. ტ. 694871, 696590, მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: Procurement-Ge@yahoo.com .

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან მიიღო სესხი პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ სესხის ნაწილით დააფინანსოს **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხულოსა და შუახევის რაიონების 9 სოფლის** (იხ. ცხრილი) **პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების (პჯდ) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

| რაიონი | ობიექტი | ფართი (მ²) |
|---|---|---|
| ხულო | სოფ. დიოკნისის პჯდ რეაბილიტაცია | 148,6 |
| ხულო | სოფ. სხალთის (ცინცაური) პჯდ რეაბილიტაცია | 132,0 |
| ხულო | სოფ. ღორჯომის პჯდ რეაბილიტაცია | 139,9 |
| ხულო | სოფ. ხიხაძირის პჯდ რეაბილიტაცია | 109,5 |
| შუახევი | სოფ. ზომლეთის პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| ხულო | სოფ. აგარის პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| ხულო | სოფ. ტხილვანის პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| ხულო | სოფ. ფუშრუკაულის პჯდ მშენებლობა | 89,0 |
| ხულო | სოფ. რიყეთის პჯდ მშენებლობა | 89,0 |

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას ცხრილში განთავსებული პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების კონკურსში (ტენდერში) მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
- საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

და უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა აწარმოონ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ერთდროულად ყველა ზევით ჩამოთვლილ ობიექტზე.

საკონკურსო დოკუმენტების პაკეტი კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ **2005 წლის 15 ივლისიდან, 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა), შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34

კონკურსის მონაწილემ უნდა გადაიხადოს **100** (ასი) ლარი საკონკურსო დოკუმენტების პაკეტის მისაღებად. აღნიშნული თანხა კონკურსანტმა უნდა გადაიხადოს ბანკში, რომლის რეკვიზიტებია:
ბანკი: სს "ბანკი რესპუბლიკა" - ცენტრალური ფილიალი, ჭავჭავაძის გამზ. N11
ბანკის კოდი: 220101757
ანგარიშის ნომერი: 23408000189
ანგარიშის მფლობელი: საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
აღნიშნული თანხა კონკურსანტს არ დაუბრუნდება.

დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნული მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 60 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია **12 000** (თორმეტი ათასი) ლარის ოდენობით, სატენდერო პაკეტში თანდართული ფორმის შესაბამისად. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს **2005 წლის 15 აგვისტოს 12 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი
ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული.
საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 33-18-39, 33-19-39, 33-19-34

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი.

# ქალაქ ბათუმში ორი სატრანსფორმატორო ქვესადგურის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფისა და განკარგვის (იჯარით გაცემის) საკონკურსო პირობები

**შესავალი**

დამსვენებელთა უკეთ მომსახურების მიზნით ზღვისპირა პარკის დამატებით ელ.ენერგიით მომარაგებისათვის გაჩნდა აუცილებლობა სატრანსფორმატორო ქვესადგურის მშენებლობისა. ამ მიზნით, ქ.ბათუმის მთავრობის 2005 წლის 12 ივლისის N131 დადგენილების შესაბამისად ქალაქ ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის მიწის მართვისა და განკარგვის კომისია აცხადებს კონ-კურსს ორი სატრანსფორმატორო ქვესადგურის მშენებლობისათვის არასასო-ფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემაზე.

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია ქალაქის მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება და ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება.

**2. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ**

1. სატრანსფორმატორო ქვესადგურის მშენებლობისათვის 60 კვ.მ. მიწის ნაკვეთი;
მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქ ბათუმის ზღვისპირა პარკში კორტების ტრიბუნებსა და კაფე "რეტროს" შორის;
მიწის ნაკვეთის გაცემის ფორმა: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: იჯარა 25 წლით;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - სატრანსფორმატორო ქვესადგურის მშენებლობა;
მიწის ნაკვეთის ფართობი: 60 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე 1,05 ლარი, სულ 68 ლარი.

2. სატრანსფორმატორო ქვესადგურის მშენებლობისათვის 60 კვ.მ. მიწის ნაკვეთი;
მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქ ბათუმში კობალაძისა და ხიმშიშვილის ქუჩების კვეთაში სავაჭრო ცენტრ "ჭოროხის" მარცხენა მხარეს, ხიმშიშვილის ქუჩის მხრიდან;
მიწის ნაკვეთის გაცემის ფორმა: კონკურსი;
მიწის ნაკვეთის განკარგვის ფორმა: იჯარა 25 წლით;
მიწის ნაკვეთის გამოყენების ფორმა (მიზნობრივი) - სატრანსფორმატორო ქვესადგურის მშენებლობა;
მიწის ნაკვეთის ფართობი: 60 კვ.მ;
მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი: 1 კვ.მ-ზე 1,05 ლარი, სულ 63 ლარი.

**3. საკონკურსო პირობები**

მიწის ნაკვეთის იჯარის ფასი ყველა მონაწილისათვის ფიქსირებულია და შეადგენს ცენტრალური ზონის პირველი ქვეზონისათვის დადგენილ მინიმუმს ანუ 1. - 68 ლარს; 2 - 63 ლარს;

ვადა კონკურსის შედეგების შეჯამებიდან შენობის ექსპლუატაციაში გადასაცემად მზადყოფნამდე არ უნდა აჭარბებდეს 3 თვეს.

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი (მათ შორის საპროექტო) წინადადებები საკონკურსო ტერიტორიაზე განსათავსებელი სატრანსფორმატორო ქვესადგურის შესახებ.

გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მიწის ნაკვეთის იჯარის ფასის სრული დაფარვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს აუცილებელი საწყისი შენატანი მიწის ნაკვეთის ღირებულების ოდენობით ანუ 1. - 68 ლარს; 2. - 63 ლარს; კონკურსში დამარცხებულს (დამარცხებულებს) მითითებული თანხა დაუბრუნდება (დაუბრუნდებათ) კანონით დადგენილ ვადაში.

**4. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი.**

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო მიწის ნაკვეთზე ასაშენებელი სატრანსფორმატორო ქვესადგურის მინიმალურ დროში გაშვება.

**5. კონკურსში მონაწილეობის პირობები**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომლებიც აიღებენ ვალდებულებას, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გააფორმებენ თანდართულ ხელშეკრულებას ქალაქ ბათუმის მთავრობასთან;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები (მათ შორის საპროექტო) ცალკე დალუქული სახით;
გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საანგარიშწორებო ანგარიშზე სავალდებულო შენატანის სახით თანხის დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ პრეტედენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
ვ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენ-ტაციას.

კომისიის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის საჯარო სხდომის დამთავრე-ბის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღისა. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით და შეიტანება სხდომის ოქმში.

სახელმწიფო და მისი ოფიციალური პირები პასუხს არ აგებენ მატერიალურ დანახარჯებზე, რომლებსაც გასწევენ პრედენდენტები საკონკურსო პროცესში მონაწილეობისათვის.

საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტისა და სხვა ინფორმაციის მისაღებად პრეტენდენტმა უნდა მიმართოს საკონკურსო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქალაქ ბათუმის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური. რუსთავე-ლის ქ.N6. ტელ: 7-26-45.

კონკურსში განაცხადის მიღება შეწყდება 2005 წლის 19 აგვისტოს, 17 სთ-ზე.
კონკურსის ჩატარების დროდ დადგენილია 2005 წლის 23 აგვისტო, 15 სთ.
კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა "ბე" უნდა შეიტანოს შემდეგ ანგარიშზე:
აჭარის ცენტრალური ბანკი 220501102
მიმღები - ქ. ბათუმის საფინანსო სამსახური.
საიდენტიფიკაციო კოდი 245428531.
ანგარიშსწორების ანგარიშის N000142402

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1...საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ.N10, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს ენერგეტიკული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოთა შესასრულებლად ლოტების მიხედვით:

**ლოტი I**
**აწჰესის აღდგენა-რეაბილიტაცია**
**- ტურბინის კვანძის შეკეთება;**
**გენერატორის კვანძის შეკეთება;**
**- მანქანური აღგზნების შეცვლა ტირისტორული აღგზნებით;**
**სიხშირის რეგულატორის გაწყობა;**
**- საქუსლეს სეგმენტებისა და მიმმართველი საკისრების აღგდენა;**
**დროსელური საკეტის შეკეთება, ბოიპასისა და სპირალური კამერის დამცლელი ურდულების შეცვლა;**
**- სათავე ნაგებობაზე ფარების შემამჭიდორვებლებისა და სამაგრი დეტალების შეცვლა.**
**მკპ-140-ის მმ -110-ით შეცვლა**
**- 4 ცალი 35კვ-იანი ზეთიანი ამომრთველის შეცვლა;**
**ძალოვანი კაბელების შეცვლა (200X4)2=1600გრძ/მ**
**- ჰესის შენობის გადახურვა 1000 კვ.მ**

**ლოტი II**
**ჩირუხი-სანალია ჰესის რეაბილიტაცია**
**ჩირუხის წყალზე**
**წყალსაშვიანი ნაწილის აღდგენა-რეკონსტრუქცია;**
**- საყრდენი კედლების აღდგენა საპროექტო სიმაღლეზე და დაგრძელება;**
**გამრეცხი ფარის კიდურა ბურჯის აღდგენა;**
**- წყალმიმღების ზღურბლის ამაღლება და სალექარის რეკონსტრუქცია;**
**სანალიას წყალზე**
**- ჭავლმიმართველი კედლის მოწყობა ზედა ბიეფში;**
**გამრეცხ ფართან გარეცხილი წყალსაგდების აღდგენა;**
**- სალექარიდან გამრეცხ ფარზე ჩამკეტი საკეტის შეცვლა ბტყელი საკეტით;**

**მიწისზედა დერივაციული მილსადენის დაცვა განივი დეზებით გამრეცხისაგან, მიწა-კლდის სამუშაოების ჩატარება კალაპოტური პროცესების დასარეგულირებლად, ჩირუხისა და სანალიას სატურბინო მილსადენზე განშტოებათა შეცვლა შეცვლილი ტურბინათა რაოდენობის მიხედვით.**
**ჰესის შენობის მიწისქვეშა წყალგამყვან და წყალმიმღებ სამშენებლო სამონტაჟო სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება შეცვლილი აგრეგატების შესაბამისად; ფარის მორიგის ადგილის მოწყობა.**

**ლოტი III**
**ჩირუხი-სანალიაჰესის სისტემაში ჩართვის სამუშაოები**
**- 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის რეაბილიტაცია შუახევის ქვესადგურიდან ოლადაურის ქვესადგურამდე;**
**ჩირუხი-სანალიაჰესის 35 კვ-იანი ქვესადგურის მოწყობა;**
**- ქვესადგურ ოლადაურში 35/10—ს ძალოვანი ტრანსფორმატორის დამონტაჟება და სისტემაში ჩართვა.**

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ტენდერში დასაშვებია მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა დახურულ კონვერტში ლოტების მიხედვით. ალტერნატიული წინადადებების მიღება გათვალისწინებული არ არის.

2. სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა 2005 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, მიწოდების ადგილი - დანიშნულების ადგილი.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე ან ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული სახით უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 30 ივლისიდან 2 აგვისტოს 17.00. სთ-მდე ზემოხსენებულ მისამართზე, სამინისტროს კანცელარიაში - მე-4 სართული, სატენდერო კომისიის აპარატში ქ-6 ი. მშვიდობაძესთან.

- სხვა ინფორმაციას, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული რეზიდენტი იურიდიული პირისათვის:

ა) რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რებილიტაციის საქმე;

ე) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესახებ (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

3.2. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის:

ა) შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან ცნობას რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) რაიონული სასამართლოდან ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შესახებ (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით).

3.3. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ ზემოხსენებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან.

3.4 იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის:

ცნობა არანაკლებ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების შესრულების მოცულობის შესახებ; მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს დამკვეთი იურიდიული თუ ფიზიკური პირების მიერ.

4. ტენდერში მონაწილის მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო-სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია და შესაბამისი დანართი (ჩამონათვალი) საქართველოს სათანადო უწყებიდან.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო მოსაკრებლის სპეციალურ სალარე ანგარიშზე: ბანკის კოდი 220101107 ა/ა. 000141408 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005 წლის 4 აგვისტოს 17 სთ.-მდე მისამართზე: ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატი.

7. სატენდერო კომისიაში დასაშვებია ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა, ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა ტენდერში გათვალისწინებული არ არის.

8. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შესაძლოა ითვალისწინებდეს წინასწარ ანგარიშსწორებას., ამ შემთხვევაში მან უნდა წარადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია, როგორც ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალება სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობების დაცვით.

9. დასაშვებია პრეტენდენტმა (გამარჯვებულმა) სატენდერო დოკუმენტაციაში (ხელშეკრულებაში) განსაზღვრული მისი ვალდებულებებების დაკისრება ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე დაავალოს სუბკონტრაქტორს, რომელიც აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ზემოხსენებული მე-5 მუხლის მოთხოვნებს და სატენდერო დოკუმენტაციის საერთო პირობების მოთხოვნების დაცვით დადგენილი წესით, ეს უნდა შეთანხმდეს სატენდერო კომისიასთან.

| **შეფასების კრიტერიუმები** | **პრიორიტეტულობის კოეფიციენტები** |
|---|---|
| სატენდერო წინადადების ფასი | 0.40 |
| უკანასკნელი (არანალებ) სამი წლის განმავლობაში ანალოგიური სამუშაოების მოცულობა - კვალიფიკაცია | 0.20 |
| მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მოწყობილობა-დანადგარების სახე, აღწერილობა, მოდელი და ასაკი, საკუთარი ან იჯარით აღებული) | 0.15 |
| სამუშაოს შესრულების ვადები | 0.10 |
| ექსპლუატაციის შემდგომი საგარანტიო მომსახურების პირობები ( ვადა, და ა.შ.) | 0.09 |
| ანგარიშსწორების ფორმები და პირობები | 0.06 |
| | **სულ 1.0** |

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: იზოლდა მშვიდაობაძე. მისამართზე: ქ. თბილისი, ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატი. მე-4 სართულიტელ: 99 60 98.

*საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია*

## შინდლერის ფაბრიკა მუზეუმად იქცევა

ოსკარ შინდლერის ფაბრიკას, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს ასობით ებრაელი სიკვდილისგან იხსნა, პოლონეთის ხელისუფლება მუზეუმად გადააკეთებს.

კრაკოვის მერის მოადგილის განცხადებით, ფაბრიკის მუზეუმად გადაქცევა პროგრამა “ინდუსტრიული ზონის რეაბილიტაციის” ერთ-ერთი ნაწილია. სავარაუდოდ, ახალი მუზეუმის კედლებში თანამედროვე ხელოვნების ნამუშევრები განთავსდება. აქვე მუდმივად იმუშავებს გამოფენა, რომელიც მთლიანად შინდლერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნება. პოლონეთის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ მუზეუმის შესაქმნელად ევროსაბჭო 1.15 მილიონ ევროს გამოყოფს.


## იყიდება მზა ბიზნესი "ნეკროპოლი" ტრაურ სერვისი

მთლიანი კომპლექტი, რაც აუცილებელია ახალი ბიზნესის დასაწყებად.

1. საფლავში ჩასასვენებელი მოწყობილობა
2. მაცივარ-სასახლეები
3. აქსესუარები - სასახლის დასადგმელი, სკამები, ეტლები, ფარდაგები, ყვავილის კომპოზიციები, გვირგვინები, შანდლები.

**ცნობებისთვის დარეკეთ:**
**ქ. ერევანი (37410) 54-80-54**
**24-24-27**
**მობილური (37491) 43-45-18**


## "ქუინის" სამადლობელი




გუშინ ლეგენდარული ბრიტანული ჯგუფის "ქუინის" ჰაიდ-პარკში გამართულ კონცერტზე ათასობით პოლიციელი და სამედიცინო სამსახურის პერსონალი მიიწვიეს. ასეთი პატივი მუსიკოსებისგან მათ ინგლისის დედაქალაქში მომხდარი აფეთქებებისას გაწეული მუშაობის გამო ერგოთ.

ჯგუფი ლონდონის ტრაგედიას გერმანიაში შეხვდა. "იმ დღის გმირები, ისევე როგორც მომდევნო დღეებში, პოლიციელები და სასწრაფო დახმარების პერსონალი იყო. ისინი მშვიდად და ვაჟკაცურად მუშაობდნენ. ჩვენ გვინდა, საჯაროდ მადლობა გადავუხადოთ მათ", - განაცხადა ბრაიან მეიმ. ჯგუფის ამჟამინდელმა ვოკალისტმა პოლ როჯერსმა კი დაამატა: "ჩვენი აზრით, კონცერტზე მათი მოწვევა ყველაზე შესაფერისი ჟესტია ჩვენი მხრიდან".

კონცერტზე 85 ათასამდე მაყურებელი შეიკრიბა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო "ქუინის" პირველი საკონცერტო გამოსვლა ჰაიდ-პარკში უკანასკნელი 29 წლის განმავლობაში. ლეგენდარული მუსიკოსების გარდა, კონცერტში მონაწილეობდნენ: ჯგუფი Razorlight, "დარქნესის" წევრები - ჯასტინ და დენი ჰოკინსები და ცნობილი იუმორისტი პიტერ ქეი. კონცერტი გასულ პარასკევს უნდა გამართულიყო და აფეთქებების გამო გადაიდო.

## აუქციონი, რომელიც დაგმეს

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილმა რარიტეტებმა მონრეალში ხმაური გამოიწვია. კანადელი ებრაელობის აღშფოთება გამოიწვია აუქციონისტის იეგორ დე სენტ-იპოლიტის აქციამ, სადაც იყიდებოდა ჰიტლერის ოთხი არქიტექტურული პროექტის ესკიზი. კანადელ ებრაელებს წინ კიდევ ერთი ვნებათაღელვა ელით, რადგან კერძო აუქციონი, რომელზეც ფიურერის ორი საშობაო მისალოცი ბარათი გაიყიდება, 19 ივლისს არის დაგეგმილი.

როგორც თავად სენტ-იპოლიტმა განაცხადა, ექვსივე რარიტეტის მფლობელს ანონიმურობის შენარჩუნება სურს. ასევე არ ხმაურდება ამ ნივთების სასტარტო ფასი.

როდესაც აუქციონის გარშემო შექმნილი ხმაურის შემდეგ სენტ-იპოლიტს ჰკითხეს, თუ რამდენად ეთიკურად მიაჩნია მსგავსი აქციების მოწყობა, უპასუხა, რომ ის მხოლოდ თავის მოვალეობას ასრულებს. მოვალეობა კი მარტივია - ადამიანებს გადასცეს ნივთები, რომლებიც ისტორიას უნდა შემოენახოს. რასაკვირველია, ამ მოსაზრებას არ იზიარებს ყველა და კანადურ ებრაულ კონგრესზეც უკვე მოასწრეს აუქციონის დაგმობა.

რაც შეეხება რარიტეტებს. ოთხი არქიტექტურული ესკიზი ფერადი ფანქრებით არის შესრულებული. ერთ-ერთ მათგანზე არის შესწორება, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ჰიტლერმა ლინცში (ავსტრია) ოპერის სახლის პროექტში შეიტანა (ოპერის თეატრის დამპროექტებელი ალბერტ შპეერი მოგვიანებით სამხედრო შეიარაღების წარმოების მინისტრი გახდა. ნიურნბერგში მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს). საშობაო ბარათები კი 1935 და 1938 წლებით არის დათარიღებული და მათ, ჰიტლერის პირად ბეჭედთან ერთად, ნაცისტი დიქტატორის ხელმოწერაც აქვს.







USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

## განცხადება

Save the Children.

საერთაშორისო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ახორციელებს კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერის რეაბილიტაციას. აღნიშნული დისპანსერი მდებარეობს ქ. ქუთაისში, ოცხელის ქ. 2, მეხუთე სართული.

პროექტის ფარგლებში ცხადდება ტენდერი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი სამშენებლო კომპანიის გამოსავლენად.

დაინტერესებული კომპანიების სატენდერო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარება იწარმოებს 2005 წლის 19 ივლისიდან 27 ივლისის 12 საათამდე (კომპანიის წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილების დამადასტურებელი წერილი) მისამართზე: ქ. ქუთაისი, ფალიაშვილის ქ. N35, მეხუთე სართული, ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები", ქუთაისის ოფისი.

კონსულტაცია გაიმართება მისამართზე: ქ. ქუთაისი, ფალიაშვილის ქ. N35, მეხუთე სართული, ფედერაციის "გადავარჩინოთ ბავშვები" ქუთაისის ოფისში 2005 წლის 21 ივლისს 12.00 სთ-ზე. ინდივიდუალური კონსულტაციები არ ჩატარდება.

ტენდერის გახსნა გაიმართება 28 ივლისს 12.00 სთ-ზე, ქ. ქუთაისში ფედერაციის "გადავარჩინოთ ბავშვების" ოფისში.

**ტ. 8(231) 5 08 94**
**საკონტაქტო პირი: გიორგი ბეგიაშვილი, მობ: 899 37 97 83**








## ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოხცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ---------------

მისამართი ---------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------

დაბადების თარიღი ---------------

სკოლა ---------------

კლასი ---------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ---------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ---------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბლანკი უფასოა



